№ 3-67

ლიტ-ხელ-კრიტიკული ჟურნალი

№ 10

წელიწადი მეორე

ფასი 10 კაპ.

მიიღება ხელის მოწერა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოველ კვირეულ საზოგადო-ეკონომიურ

და სალიტერატურო ჟურნალ

„კლდე“-ზედ.

1913 წლის იანვრიდან ჟურნალი უფრო ფართო პროგრამით გამოიცემა, ჩაერთობა ილუსტრაციები, კარიკატურები და სხ. მოწვეულ არიან ახალი თანამშრომელნი, როგორც ადგილობრივი, ისე რუსეთსა და საზღვარ გარედან.

ფ ა ს ი:

1 წლ.	6 თვ.	3 თვ.	1 თვ.	ცალკე №
5 მან.	2 მ.75	1 მ.50	50 კ.	10
4 მან.	2.50 კ	1 მ.	40 კ.	10

სოფლის მასწავლებელთ, სამკითხველოებს, სტუდენტებს და კოოპერატიულ დაწესებულებათ დაეთმობათ

საზღვარ გარედ ყველა ფასებს ემატებათ თვეში 5 მაური გადასაგზავნი.

განცხადების ფასი:

კანტორასთან შეთანხმებით.

მოითხოვეთ კოოპერატიული რძე

„ლ ი ლ ო“

ძერძეველთა ამსანაგობა „ლილოს“ თავისი ნამდვილი და ჭეშმარიტი რძით მოიმზადა კარგი ბაზარი და ახლა აფართოებს თავის საქმეებს, რითაც შეძლება მიეცა მსურველთ მიაწოდოს საუკეთესო რძე ბინაზედ, ცალკე დაბეჭდილ ჭურჭელით.

რძის დაკვეთა შეიძლება შემდეგ ადგილებს: რედაქცია „კლდე“ Габаевскій пер. № 3. და ქართულ სამეურნეო საზოგადოების მდივანთან: Барятинская 5.

33(05)
5-67

კლდე

№ 10

3 მარტი 1913 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვისაც 1913 წლ. არ გამოუწერია ჟურნალი „კ ლ დ ე", იანვრიდან აღარ ეგზავნება.

ყოველ კვირეული საზოგადო-ეკონომიური და სალიტერატურო ჟურნალი

რედაქცია ღიაა 10—3 საათ.

მისამართი: თბილისი, Габаевскій пер. № 3 რედაქცია „კლდე". დეპეშისა: თბილისი კლდე.

ჟურ. კლდის კანტორისაგან

რედაქციაში იყიდება ჟურნალ კლდის დაკაზმული კომპლექტები 1912 წლისა. ფასი ქალაქში. —1 მან. ქალაქ გარედ—1 მან. და 25 კ.

—

ყველა ხელის მომწერთ ვთხოვთ დროით შეგვატყობინონ ხოლმე, თუ რიგზედ არ მისდით ჟურნალი, რომ თავდარიგი დავიჭიროთ.

ს ა რ ჩ ე ვ ი: უცნაური ამბავი.—**ფარისა.** სამეურნეო-ბანკი თუ კოოპერატიული ვაჭრობა-მრეწველობა.—**ლ. ცაგარელისა.** გარდამავალი ხანა.—**ა—ისა.** უკანასკნელი ამბები. შინა მრეწველობის აგონია ჩვენში.—**თევდ. ღლონტისა.** მიმქრალი სულის აღსარება.—**დ. კასრაძისა.** „ზომიერება".—**ეკალისა.** 21 თებერ. მანიფესტი და ამნისტია.—**გულისა.** დუმეთის მაზრაში.—**მგზავრი ლასისა.** კლუბის არჩევნები.—**ფარსმან-ფარუხისა.** ნარევი. ჩვენი ფოსტა.

უცნაური ამბავი

გაზეთებმა გვაცნობეს, რომ საციციანოში დაბინავებულ ოთხის სოფლის ხიზნებმა თხოვნითა და ვედრებით მიმართეს ქართლ-კახეთიდან წასულს დეპუტატს კარლო ჩხეიძეს—გვიშველეთ რამე, ვილუპებით. მემამულე მდივანი აყრას და გადასახლებას გვიპირებსო. გაფიცხებული და შეძრწუნებული ამ საწყალის თხოვნა-ვედრებით დეპუტატი კარლო ჩხეიძე მიფრენილა იმპერატორის მოადგილეს თანაშემწესთან, სენატორ ვატაცისთან, რომელიც დროებით პეტერბურგს იმყოფება და უჩვენებია ხიზნების დეპეშა. ამას გარდა, ქართლ-კახეთის დეპუტატს იმაზედაც უსაუბრნია, რომ დროა გამოირკვეს ხიზნების მდგომარეობა.

გაზეთების სიტყვით, სენატორ ვატაცის ხიზნების დეპეშა გამოუგზავნია იმპერატორის მოადგილისათვის კავკასიაში, ხოლო კარლო ჩხეიძეს დაჰპირდა—რეპრესიებს, ესე იგი ძალ-მომრეობას ხიზნების მიმართ შევაჩერებთ, ვიდრე კანონიერ გზით ხიზნების ბედი გადასწყდებაო; რადგანაც, უბრძანებია თურმე, სენატორს ვატაცის, თვით ადგილობრივი მთავრობა იმის ზრუნვაშია, რომ მოისპოს აგრარული უწესოებანიო. ხიზნობის მოსასპობად შესაფერს კანონს ვამზადებთო.

თითქმის სიტყვა-სიტყვით ამოვიღეთ რუსულ გაზეთიდან ეს ამბავი. თუ იგი ტყუილია და მოჭორილი, ღმერთმა მშვიდობა მისცეს მეჭორეს. მაგრამ თუ იგი ამბავი მართალია, მაშინ გაოცების მეტი არა გვმართებს რა.

აი საქმე რაშია. რუსის კანონმა ხიზანი პირველად ახსენა 1864 წელს, როდესაც ქართლ-კახეთში ბატონ-ყმობა გადავარდა. ამ დღიდან ადგილობრივი ადმინისტრაცია გადამეტებულ მზრუნველობას იჩენდა ხიზნებზე და ასეთი მზრუნველობა დასრულდა შესანიშნავის ცირკულიარით სენატორ

კლუშინისა 1876 წელს. ამ ცირკულიარის შემდეგ საზოგადო სასაართოო ხელს ვეღარ ახლებდა ხიზანთა ურთიერთობას და საქმეს. ცირკულიარმა მათი საქმე დაუქვემდებარა საგლეხო დაწესებულებას. 1864 წლის კანონმა იმ აზრზე დაამკვიდრა ხიზანი, რომ მას ხელს ვერ ახლებს მამულის პატრონი, ხოლო 1876 წ. ცირკულიარმა ამას კვერი დაჰკრა და დაბეჭდა. ასე გაშინჯეთ, ლეგენდებიც კი გაჩნდა. თბილისის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა გამგე სტ. ივ. ხატისოვი ამბობდა, რომ მთაში ხიზნებმა კულტურა შეიტანეს, ციცაბო კლდეებზე საბლებით აჰყავდათ საქონელიო და სხვა. ამისთანა მოამაგე და კულტურისან მუშას მთავრობის დახმარება ეჭირვებაო. განსვენებულს ის მაინც დაემატებინა, რომ ტყის ძირიან-ფესვიანად ამოგდება ახოების შემწეობით და ქვეყნის გავერანება და უდაბნოდ ქცევა ვერაფერი კულტურაა, მაგრამ, რას იზამ, რომ ბ-ნმა ხატისოვმა ეს არა სთქვა, ხოლო რასაც ამბობდა, იმას დიდი გასავალი ჰქონდა მაშინდელ გავლენიან სფერებში. ასეთისავე აზრისა იყო მაშინდელი გავლენიანი მოხელე კუჩაევი. მისის ფიქრით ხიზნებს დიდი პატრონობა უნდოდა. ამ თვალსაზრისით შემუშავდა კანონი, რომლის ძალით თუ მამულის პატრონი მოისურვებდა ხიზნის მოშორებას, ორმაგი ფასი უნდა მიეცა ხიზნისათვის შენობისა, ბაღ-ვენახისა და ყველა იმისა, რაც ხიზანს მოეპოვებოდა ბინაზე. კანონისა და ადმინისტრაციის ასეთმა მზრუნველობამ თვისი ნაყოფი მოიტანა. ისე მრავლდებოდა ხიზანთა რაოდენობა, როგორც ქამა-სოკო კაი ზაფხულის ქუქუნა წვიმის შემდეგ. თუ ძველად ხიზნობა ასობით ითვლებოდა, ეხლა ათი-ათასობით ირიცხება. ვინ გინდა, რომ ხიზნობა არ მოიწადინა: დროებით ვალდებული, სახაზინო გლეხი, საკუთრების პატრონი — ყველა ხიზნობას ეტანებოდა; როგორც ბუზი თაფლს, ისე მიეტანნენ ამ სანუკვარ „ინსტიტუტს". ბარს ქართლში გარს არტყია მთა, ოდესმე ტყით დაბურული. გამრავლებულმა ხიზნობამ ძირს დასცა უკვდავი ტყე, ეს შეუდარებელი ეროვნული სიმდიდრე და თუ ასე გაგრძელდა საქმე, სულ მცირე ხანს მოატიტვლებენ კავკასიონს, თრიალეთს და სურამის ქედს, და მაშინ მშვიდობით ნაამაგდარო ქართლო: ნიადვარი წაგიღებს და წაგლეკავს... ამას გვიმზადებს „ახოების" კულტურა.

ხიზნების კანონი ერთხელ კიდევ შესცვალეს ახალის კანონით, თუ ხიზანს გადაასახლებ, ორმაგი ფასის მაგიერ ერთპირი ფასი უნდა მისცე შენობისა. ეს კანონი დღესაც მოქმედობს. ოცს წელიწადზე მეტია, რაც ეს კანონი მოქმედობს და ერთი მაგალითიც არ გვახსოვს, რომ ხიზანი აეყაროთ. მიზეზი ისაა, რომ მამულის პატრონს ფული არა აქვს ხიზნის შენობის შესასყიდად.

ასეა დღემდის ეს საქმე. 1891 წლის კანონი ხიზნების შესახებ ვერ მოქმედობს და გდია უქმად, რადგან მემამულეს ფული არა აქვს.

ბ-ნმა მდივანმა ფულით შეიძინა თომა ციციშვილის მამული. ბევრს ეცადა კაცი, რომ შეესყიდინებინა ხიზნებისთვის მამული, მაგრამ ხიზნებმა არ მოისურვეს მამულის ყიდვა. გიჟები ხომ არ არიან: გალაღებული კაცი მამულს რად იყიდის. მდივანმაც ალბად მიჰმართა არსებულ კანონის ძალას და შეუთვალა — დასცალეთ ჩემი მამული და რაც კანონით გეკუთვნით, ფულად მიიღეთო. ვიდრე კანონი არსებობს, მთავრობის წარმომადგენელნიც ისე ემორჩილებიან მას როგორც ყველა სხვა. კანონი მაშრის კანონია, თუ მასხარად აიგდებენ. აქ საკაა რეპრესია? სენატორი ვატაცი როგორ იტყოდა სიტყვა „რეპრესიას"? განა კანონის ასრულება რეპრესიის მიღებაა? ვიდრე კავკასიის მთავრობა ახალს, მესამე კანონს ხიზნების შესახებ შეიმუშავებს უკვე არსებული კანონი უნდა გაუქმდეს? თავდები ვინაა, რომ მესამე კანონი ხვალ, ზეგ, მაზეგ გამოვა? ეგები ათი-ოცი წელიწადი გავიდეს და მანამდისინ არსებული კანონი გავაჩეროთ? განა ადმინისტრაციას უფლება აქვს კანონი შეაჩეროს? აი მიზეზი, რისთვისაც გაზეთების სიტყვას ჭორი ვუწოდეთ და არა გვჯერა, რომ სენატორს ვატაცის ის ეთქვას, რაც მას გაზეთებმა მიაწერეს.

„ჩამონაჭრების" და ნადელების ხანა დღეს გათავებულია. 20 დეკ. კანონმა ბოლო მოუღო ბაასს ამ საგანზე. დეპუტატს კარლო ჩხეიძეს ახლა ხიზნები ღა შერჩა ხელში და მოუწადინებია ამ ჰანგზე ააყლეროს ჩონგური. ჩონგურზე ყლერა სასიამოვნო ხელობაა, მაგრამ სადეპუტატო საქმე არ არის. დეპუტატი ვალდებულია ღრმად ჩაუკვირდეს საქმეს, გამოშიგნოს იგი და მხოლოდ მაშინ ააყლეროს ჩონგური და, თუ ინებებს, სალამურიც ზედ მიაყოლოს.

ფარი.

სამელიორაციო ბანკი თუ კოოპერა-ტიული ვაჭრობა-მრეწველობა

ეროვნულ საკითხის სასიკეთოდ გადასაწყვეტად საჭიროა ერთა ცხოვრების ჭეშმარიტ გზაზე შეყენება და შეუფერხებელი წინსვლა. ვინც იპოვნა ეს გზა და იმთავითვე შედგა მასზე, ვინც ცხოვრებას ალლო აართვა და კვალში ჩაუდგა მას, აკი დევ-გმირულის ნაბიჯით მიიწევს წინ.

ვაი იმისთანა ერს, რომელსაც აერევა გზა: ცხოვრება ულმობელის ხელით გადასჩეხავს მას უფსკრულში და დავიწყების ლამს წააყრის. შესანატრი არ არის იმისთანა ერების მდგომარეობაც, რომელნიც ცოდვილობენ, ღონღილობენ და ადგილს კი ვერ მოსცილებიან. ისეთი ერები აქ ცოცხლებს აკლიან, და იქ მკვდრებსა. ეს ნება-ნება სიკვდილია, რაიც უფრო მეტად გულსაკლავი სანახავია, ვიდრე გზას ერთხელ გადაცილებული და ხარო-ღრანცებში გადაჩეხილის ხილვა.

მიმოვავლებ თვალს ცხოვრებას და გულ-მტკივნეულად ვფიქრობ: ვაჰ მე! ჩემი მშობელი ერი კი არ აღმოჩნდეს გზა აბნეულ მცხოვარად! ნუ თუ ქართველობაა მეთქი ბედისგან განწირული მოსასპობად?..

არა მგონია. არა მსურს დავიჯერო, რადგანაც დიდებულს წარსულს დიდებული მომავალი უნდა ჰქონდეს. მაგრამ საქართველო შეფერხებული, რაღაცნაირად გარინდებული ცხოვრება, მდორე, ერთფეროვანი ყოფა, მომწყვდეული გარემოება და ირგვლივ მოცადი და თავხედობამდის გაბედული მეტოქეები, თითქმის, საამისო შავბედითი შავი ყორნებია.

ალარ ისმის იარაღის ჟღარუნი ჩვენში, მტერი შინვეა, მოყვრულად შემომდგარი. მისი მოგერებამორევა მისივე იარაღით შეიძლება. უცხო თანხების პარპაშმა ჩვენში, სასწორმა და არშინმა გამოგვიცხადეს სამკვდრო-სასიცოცხლო ომი. ამათ მიგვიყვანეს იქნობამდის, სადამდისაც ვერ დაგვიყვანა ყეენხანთა და შაჰთაგან—გადასახლებამ, ჟლეტა-ამოწყვეტამ. ეს ბრძოლის შვიდობიანი იარაღი მთავრობამ მფარველობის ქვეშ მიიღო იმავ თავითვე და, როცა ჩვენ დიდების მოყვარულ წინაპართ თვალები ჩინმენდლებით, ტემლაკებით დაუბრმავდათ, მაშინ ნიათი ამ შეუმჩნეველმა მტერმა გამოაცალა.

თუ ეს მართალია, მაშინ ცხადია რანაირია ჩვენი მოვალეობა სამშობლოს წინაშე და რას უნდა მოვახმაროთ ჩვენი ძალ-ღონე.

სხვათა შორის ის თანხაც, რომელიც თავად-აზნაურობას გამოუვა სახელმწიფოდგან და რომლის გამოყენების შესახებ რჩევები იწერება.

ყველანი მოვალენი ვართ ანგარიში გაუწიოთ არსებულს მდგომარეობას და ვეცადნეთ ხელი შეუწყოთ საქართველოს იმ გზაზე სასიარულოდ, რომელიც ამ ხანად გამარჯვებას ანიჭებს სხვა ერებს და რომელზე საველოდ ხმალ-ხანჯალი და თოფ-დამბაჩა კი არ არის საჭირო, არამედ ფული, არშინი და სასწორი, ე. ი. მრეწველობა ბ ალებ-მიცემობა. როცა ვისმე კითხვა დაებადება, რომლიდგან დავიწყოთო, მაშინ მზამზარეულ პასუხს და პასუხის ზურგის გამამაგრებელ გამოცდილებას, გამარჯვებული და მთელი ქვეყნიერების მესვეური ევროპა მოგვცემს. კერძოდ, იქაური ძლევა-მოსილი კოოპერაციები და მათი ისტორიაა პასუხი.

ბევრი შეცდომების და ზარალების, საუკუნეთა განმავლობაში შეუფერხებელ მუშაობის შემდეგ მათ მოგვიწერეს: **„ჯერ ალებ-მიცემობა, მერე მრეწველობა, უკულმა არას დროს“**. ბევრი საამისო მაგალითების მოყვანა შეიძლება აქ, მაგრამ სტატიის ფარგლები ნებას არ გვაძლევენ.

ჯერ მოვუაროთ და სასარგებლოდ გამოვიყენოთ ის სიმდიდრე და ნაყოფი, რასაც ჩვენი მადლიანი დედაბიწა იძლევა, მერე შეუდგეთ ჩვენი მამულის გაუმჯობესებას, თორემ ერთი მკოდავის ამბავი დაგვემართება. ან კი შეიძლება გავაუმჯობესოთ მეურნეობა, შინა მრეწველობა და სხვა დარგები თუ ხალხი—მუშა თავის ნაშრომს ჩალის ფასად ჩაუგდებს მცარცველ მოვაჭრეებს, მოვახშეებს და სოფლის პარაზიტებს და თვით კი მუდამ მშიერ-ტიტველი იქნება?.. დღეობებში ორშაურად ჩაფი ღვინო ვერ იყიდება და უკან წაღებას დაღვრას არჩევენ, ვენახებიდგან ხილი ვერ გამოუზიდნიათ ჩარჩებს და ხეზე ალპობენ. ამავე დროს რუსეთის ბაზარი უცხო ნაწარმოებით ივსება და ჩვენც ჩვენს ქალაქებში ბოთლი ღვინო აბაზად ვერ გვიყიდნია და გირვანქა ვაშლშიაც აბაზი გვიძლევია და ვაძ-

ლევთ. გვეღუპება მრეწველთ მოსავალი მოუწყობელ ვაჭრობის გამო ვიღარცნებით მომხმარებელნი იმავე მოსავლის ვაჭრებისაგან ძვირად მოყიდვის გამო. ასე გვხდება ორი ტყავი და მთელი ნამუშავარი—მოგება სხვის ხელში გადადის. მოხმარების მოწესრიგება ევროპამ დღეს პირველ და აუცილებელ საკითხად დაისახა და მის სასიკეთოდ გადაწყვეტას ხალხისთვის ალევს დიდს ენერგიას.

ამგვარ უწესობის წამალი კოოპერატიული სავაჭრო—მომხმარებელ საზოგადოებათა გამრავლება და შემდეგ კოოპერატიულ წარმოების გაჩაღება. **ზემო აღნიშნული თანხაც შეიძლება სწორედ ამ დაწესებულებათ მოხმარდეს,** იმ თანხის ასეთი გამოყენება არამც თუ ნაციონალურია და თანამედროული, არამედ იგი მთელ საქართველოსთვისაც უფრო სასარგებლო იქნება თავის მახლობელ სასარგებლო შედეგებით, იგი უფრო მალე გადაახალისებს ერს, მალე შეუცვლის სასურველად ელფერს, ვიდრე სხვა გვარი მისი გამოყენება. ამის გარდა, იმედია, ამ ფულების გამღებთათვისაც უფრო თანასაგრძნობი იქნება ასეთი გამოყენება მათი თანხებისა, რადგანაც ისინი ამ თავიდგანვე დაინახავენ ცოცხალს, დროს შესაფერ საქმეს და მის სარგებლობას ყველასათვის.

ითქვა და აღარ გავიმეორებ მელიორატიულ ბანკის დაარსების იდეა შინაარსზე. თუ ჰკუას დასავლეთიდგან ვსწავლობთ და ეხლაც გვინდა იქიდგანვე ვისწავლოთ, მაშინ იმ ფულით ასეთი ბანკის დაარსება, საქმის ყირამალა დაყენება იქნება; შენობის ზემოსართულებიდგან დაწყება. მელიორატიული ბანკები და მუშაობა ევროპაში ფართო კოოპერატიულმა მუშაობამ და ცხოვრების მოწესრიგებამ გამოიწვია და არა უკულმა. მართალია ჩვენს, ქალაქებისკენ მაყურებელ, ინტელიგენციის პსიხიკას დიდად ეხერხება კვლავ ბანკის დაარსება და აქეთ-იქით დირექტივების გზავნა და შემდეგ ხელების დაბანვა, მაგრამ მივხედოთ იმავე ევროპას. იქ მინისტრი ლუცატები პორტფელებს თავს ანებებენ ⅆ კოოპერაციებს უდგებიან სათავეში. მათ სწამთ, რომ მუშა ხალხია მარილი ამა ქვეყნისა, თავს არ იზოგვენ, ხალხს სწირავენ დიდებას, პირველობა სოფელში ეხლა უფრო სანუკვარად გადაექცათ, რადგანაც აქ ფართო მუშაობით ეყრება მტკიცე საძირკველი ბედნიერებას ერისას. ჩემგნით ნარჩევი საშუალება ქალაქისაკენ ყურების ჭირსაც მოაცილებს ჩვენს ინტელიგენციას და სოფლად გაჰფანტავს მას, რაიც ნაკლებად სასარგებლო არ იქნება, ვიდრე თვით კოოპერატიული სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებანი. არა მგონია, ჩემი აზრი საცილობელი გახდეს იმისთანა პირთათვის, რომელნიც ერის ნამდვილ სამსახურში უპირობოდ და არ გაურბიან მადლიან მუშაობას სოფლად, ხალხში. ამიტომ ნუ მივაქცევთ ყურადღებას ავტორიტეტობას და დროს და გრემოების შესაფერისად მოვიხმაროთ ეს ხალხის სისხლით შესვრილი ფული.

ამ საქმის სასიკეთოდ წარმართვისთვის ეხლავე უნდა შევუდგეთ საჭირო პირთა მომზადებას. შეგვიძლიან კიდეც და აუცილებელიც არის დღესვე დავაარსოთ მოკლე ხნოვანი საკოოპერაციო კურსები, სადაც მსურველნი გაეცნობიან კოოპერატიულ იდეებს, კოოპერატიულ ვაჭრობა-მრეწველობის საქმეს და ანგარიშების შედგენას.

ის პირნი, რომელთაც წილი არა აქვთ სახელმწიფოდგან გამოსულ თანხებში, მოვალენი არიან თავიანთი წვლილი შეიტანონ ამ დიდ საქმეში. ფულის შეგროვება ჩვენმა რედაქციებმა და დაწესებულებათ უნდა იკისრონ. ნურავინ შეფიქრიანდება სიცოტავეზე: მრავალი ცოტა—ბევრს იზამს.

ლ. ცაგარელი.

რედაქციისაგან. ბატონ ცაგარელის წერილი არსებითად არ ეწინააღმდეგება ჩვენი ჟურნალის მიერ წამოყენებულ რჩევას სასოფლო-სამეურნეო (ⅆ სამელიორაციო) ბანკის დაარსებას,—ვინაიდგან ჩვენ მიერ წარმოდგენილ ბანკმა, არა მარტო ხელი უნდა შეუწყოს ფართო კოოპერატიულ ორგანიზაციებს, უნდა ხელმძღვანელობდეს კიდეც ყოველ სამეურნეო დაწყებაში თავისი აგრონომების, ტეხნიკების, გიდრავლიკების და სხვათა საშუალებით. ყველა ეს აღნიშნული უნდა იყოს ბანკის წესდებაში; როგორც მაგ. მოსკოვის სააქციონერო სახალხო ბანკის წესდების პირველივე მუხლი **მოითხოვს** დახმარებას არა მარტო კერძო პირთა, არამედ ყოველგვარ ორგანიზაციებისას და კოოპერატივებისას.

და ასეთი გადაჭრა საკითხისა თუ „ყირამალა აყენებს საქმეს და შენობას ზემო სართულიდან დაწყებასა" ნიშნავს **ნორმალურ პირობებში**, ჩვენში, საცაა ათასი ქარიშხალი და წვიმა-თოვლი დაგვდის **თავზედ**—ეს აუცილებელი; კარგი ამშენებელი! ვალია: ამოტანილ კედლებს ჯერ სახურავი გაუკეთდეს, რომ წყალმა და ქარმა ნაშენი არ წაახდინოს და შემდეგ შევუდგეთ ქვემო და ზემო სართულების გამჯობესებას.

გარდამავალი ხანა

„თემი“ ეხება იმ საკითხს, თუ რატომ არ ხეირობს საქართველოში ლიბერალური“ ბურჟუაზული ჟურნალ-გაზეთობა. ეს საკითხი საინტერესოა უფრო იმით, რომ ყოველგვარი ჩვენი პრესა უმწეო მდგომარეობაშია. საზოგადოთ გაზეთების გამოსვლა ჩვენში და მერე მათი სასწრაფოთ დაკეტკა—ისეთი აქლემია, რომელიც „თემის“ კარებზედაც ადვილად დაიჩოქებს, მაგრამ „თემი“ ამაზედ განგებ თვალებს იხვევს და სხვებზედ ფილოსოფოსობს.

საგაზეთო საქმე საერთოდ ძნელია, ეს ყველამ იცის. იგი თხოულობს მატერიალურ და იდეურ ძალებს. ჩვენში კი ეს ორივე ნაკლებ არსებობს. საგაზეთო საქმისთვის იმდენად გენიალური პუბლიცისტები არ არიან საჭირონი, რამდენადაც პროფესიონალური ჟურნალისტები და პრაქტიკის ხალხი. თუ თვალს გადაავლებთ ევროპის პრესას, უპირველესად ყოვლისა აღმოაჩენთ იმას, რომ იქ სიტყვა და საქმე ხელი-ხელ ჩაკიდებულნი მიდიან. გაზეთებში მუშაობენ დეპუტატები, რომელნიც იმავ დროს ჰქმიან პოლიტიკას, მუშაობენ პროფესორები, რომელნიც იმავ დროს წინ სწევენ ჰრაქტიკულად მეცნიერებას. ამ რიგად იქ პრესა „უდაბნოში მღაღადებელ ხმას“ არ წაგავს. სწერენ იმაზედ, რაც იმ წამსვე უნდა გაკეთდეს, აკეთებენ იმას—რაზედაც წელან სწერდნენ. ასე ხდება იმ ქვეყნებში, სადაც ასპარეზი ფართოა, სადაც „ცხოვრება“ აკრძალული არ არის. და სწორედ ცხოვრების ასეთი განუსაზღვრელი თავისუფლებაა მიზეზი, რომ პრესა ზოგჯერ ბოროტად იყენებს თავის წმინდა დანიშნულებას და გაიძვერულ ხრიკებით ჰქმნის ისეთ ვითარებას, რომელიც პროგრესისათვის პირდაპირ მავნებელია.

აქედან ერთი აუცილებელი დასკვნა უნდა გამოვიყვანოთ. მაშასადამე პრესა ისეთი ძლიერი ფაქტორი ყოფილა, რომლის მოღვაწეობა არასოდეს არ რჩება უშედეგოდ, თუ ამას საზოგადო პირობები უწყობენ ხელსა. იგი არ რჩება უშედეგოდ არა მარტო მაშინ, როცა იგი პირდაპირ სასარგებლოა და პროგრესიული, არამედ მაშინაც, როცა იგი პირდაპირ მავნებელია და რეგრესიული. ეგრედ წოდებული „ყვითელი პრესა“ „ანგარებითი პრესა“ ამის მაჩვენებელია.

კერძოდ როგორია პრესა ჩვენში, პროგრესიული თუ რეაქციონური? „თემი“, რასაკვირველია, იმ აზრისაა, რომ პროგრესიული პრესის გარდა, არსებობს რეაქციონური პრესაც, მაგალითად „კლდე“, მაგრამ გაზეთი იმაზე სწუხს, რომ ჩვენში არ ხერხდება ლიბერალურ-ბურჟუაზული პრესის შექმნა. ცხადია, როცა გაზეთი ამ სტრიქონებს სწერდა, თავისი თავი უდემოკრატიულეს ორგანოდ ჰქონდა წარმოდგენილი. არც ჩვენ ჩაუშლით გაზეთს ამ ილიუზიებს, რადგან „თუ არა ამით, მაშრით დასტკბეს“ მისი უიმედო სიყვარული უსამზღვრო ლიბერალიზმისადმი. მაგრამ არ შეგვიძლია თავი შევიკავოთ, როცა „თემი“ გვიხსნის იმ მიზეზს, რომლის გამოისობით ჩვენში ლიბერალურ-ბურჟუაზულ პრესის შექმნა არ ხერხდება.

მიზეზი, როგორც ქვევით დაინახავთ, „გრანიცულია“ თავის საკუთარ გამოკვლევების უქონლობის გამო, გაზეთს მოჰყავს პოლონელი მწერლის ბრეოზოვსკის აზრი. ბრეოზოვსკის აზრს, თუ რატომ ვერ დაარსდა პოლონეთში ბურჟუაზულ ლიბერალური პრესა – ალარ გავიმეორებთ, ვიტყვით მხოლოდ, რომ ბრეოზოვსკი განსაკუთრებულ დასის მწერალია, მისი აზრი განზრახ ტენდენციურია და სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ არც სინაზდვილეს შეეფერება. პოლონეთის პრესა არამც თუ საკმაოდ მდიდარია ამგვარ ბურჟუაზულ-ლიბერალურ ტენდენციებით, არამედ თვით პოლონური ცხოვრებაც ალსავსეა ამ ბურჟუაზულ-ლიბერალურ მიდრეკილებით. მაშასადამე პოლონეთის მაგალით ამ შემთხვევაში „თემს“ არ გამოადგება. ჩვენ იქ წინააღმდეგს ვხედავთ და გაცილებით უკეთესი იქნებოდა პოლონეთზედ ჩვენ მიგვეთითებინა, ვიდრე არა ბურჟუაზულ მაგრამ ფრიად ლიბერალურ „თემს“.

სულ სხვაა ქართული პრესა; და საკითხი, თუ რატომ არ ხერხდება ჩვენში ლიბერალურ-ბურჟუაზულ პრესის შექმნა, მართლაც საინტერესოა. რად ხდება ჩვენში, რომ პრესას მაშინაც კი სათანადო შედეგი არ მოაქვს, როცა მისი მოღვაწეობა პროგრესიული და სასარგებლოა? რად ხდება, რომ გაზეთები, რომელთაც შეეძლოთ სარგებლობის მოტანა, მეორე დღესვე იკეტებიან? აი საკითხი, რომელზედაც ყოვლად შეუძლებელია ისეთი პასუხის გაცემა, როგორსაც იძლევა „თემი“: „იმ ელემენტებს, რომელთაც შეეძლოთ შეედგინათ ასეთი ზომიერი ორგანიზაციები, ხალხის საუკეთესო ნაწილი, რომელსაც სასიცოცხლო ნიშანი უფრო აქვს, სრულებით არ ენდობა“. ეჭვიც კი არა გვაქვს ჩვენ, რომ გაზეთი „თემი“ თავის თავს ისეთ პრესას აკუთვნებს, რომელსაც „ხალხის საუკეთესო ნაწილი

სრულებით ენდობა“. თუმცა ჩვენ ეს ნაკლებ გვჯერა, მაგრამ არც ამაზედ აუხირდებით, მაგრამ აქ საკითხი მართლა ნდობა-უნდობლობაზედ არის? ჩვენ ზევით ვსთქვით, რომ პრესა მაშინაც კი აღწევს თავის მიზანს, როცა იგი განზრახ რეაქციონურია. ევროპაში პრესის საშუალებით ათასობით არის შეკავშირებული მუშა რეაქციონურ ორგანიზაციებში, და თუ საქმე მარტო ნდობა-უნდობლობაზედ არის, რა ისეთი განვითარებული ხალხი ჩვენა გვყავს, რომ ცოტაოდნად მოხერხებულ პრესას ვერ შეეძლოს მისი მოტყუება, თუ ეს მოტყუება ვისთვისმე საჭიროა. ცხადია, მიზეზი ამ ნდობა-უნდობლობაში არ მდგომარეობს. ცხადია, ბურჟუაზულ-ლიბერალურ პრესის შექმნა არ ხერხდება არა იმ მიზეზით, რომ ის ელემენტები, რომელთაც შეეძლოთ ასეთი პრესის შექმნა „იძულებულნი არიან ან გაჩუმებულნი იყვნენ, ან მიეკედლონ არსებულ ჭეშმარიტ დემოკრატიულ პარტიებს, რომელთაც დაიმსახურეს ხალხის უმრავლესობის ნდობა“.

მიზეზი აქ უფრო რთულია და იგი ერთიანად დამოკიდებულია იმაზედ, თუ რა შეთანხმებაში არიან ერთმანეთთან მატერიალური და იდეური ძალები ჩვენის ქვეყნისა. როგორ შეიძლება არ მენდოს მეურნე, როცა მე კერძო საკუთრებას ვქადაგებ, თუ იგიც მესაკუთრეა. იდეური შეგნება და მატერიალური მდგომარეობა არ შეიძლება არ შეუღლდნენ აქა. როგორ შეიძლება არ მენდოს ვაჭარი და არ წაიკითხოს ჩემი გაზეთი, თუ მე აშკარად მის ინტერესს ვიცავ! მაგრამ ჯერ ეს ერთი, ასეთი პრესა ჩვენ მართლაც არა გვაქვს და ლაპარაკი, მაშასადამე, ნდობა-უნდობლობაზედ მხოლოდ მოჭორილი ამბავია, მეორეც ესა—თვით ეს იდეები არ არსებობენ ჯერ ჩვენში. ჩვენში ხშირია ისეთი ,,პოლიტიკური ცაციაობა‘‘, რომელიც სჭირს თუ გინდ იმავე „თემს“, მაგრამ ჩვენში ნაკლებია ისეთი საზოგადოებრივი სითამამე; რომელიც აუკრძალავდა ადამიანებს და საზოგადოებრივ ჯგუფებს ნიღაბთა ტარებას.

შექმნა ისეთის პრესისა, რომელიც დაემყარებოდა ლიბერალურ-ბურჟუაზულ პროგრამას და მიმართულებას არც ისე ადვილია, როგორც ისეთი გაზეთის შექმნა; რომელიც ყველას ტაშს დაუკრავს.

ჩვენ განვიცდით ისეთ გარდამავალ ხანას, რომელშიაც ყველა საზოგადოებრივი მოვლენა ერთის და ცალმხრივის თვალსაზრისით ფასდება. ამ მხრივ, ისეთი გაზეთის შექმნა, რომელზედაც „თემი“ ლაპარაკობს, იქმნებოდა ერთგვარი რეაქცია, მაგრამ რეაქცია, ჩვენის აზრით, ფრიად საჭირო. მაგრამ განა თვითონ „თემი“ არ დაჰკრავდა ყველაზედ პირველი ბუკსა და ნაღარას? და განა ეს არ იყო, როცა ჩვენი ჟურნალი გამოვიდა. განა პირველმა ,,სახალხო გაზეთმა‘‘ არ გვიწოდა ,,ვაჭრული ორგანო‘‘ და განა თვით ,,თემი“ არ გვიწოდებს ეხლა ,,თავად-აზნაურთა ორგანოს‘‘. მაგრამ ყველა ამაზედ უფრო საინტერესო შემდეგი კითხვაა; თუ კი ,,თემი‘‘ ასე ღრმად გრძნობს ასეთი პრესის აუცილებლობას, რატომ თითონ არ იქცევა ასეთ ორგანოდ? ნუ თუ არც მას ენდობა ხალხი? მაგრამ სწორედ აქ მარხია ძაღლის თავი. ყველა ქართული გაზეთი გრძნობს ასეთ აუცილებლობას, თითონ ვერ ბედავს ვერც თავისუფალ აზროვნებას და ვერც თავისუფალ სიტყვას, რომელიც უფრო შეეფერება მთელ მის ნამდვილ იდეურ მიმართულებას, ნამდვილს და არა ქაღალდზედ დაწერილს და მხოლოდ ერთმანეთს აბრიყვებენ — არა შენ გახდი ბურჟუაზულ ორგანოდ, არა შენო. აი სად არის ნამდვილი მიზეზი ასეთის პრესის უქონლობისა და არა ბრეოზოვსკისგან შექმნილი უცნაური თეორია. ეს კი გამომდინარეობს იმ რთულ სოციალურ სიცრუიდან, რომელშიაც არის გახვეული მთელი საქართველო. მაგრამ ღრმად დარწმუნებული ვართ, რომ ეს სიცრუის ბურუსი თან და თან გადადის და საქართველოს ქონებრივი კლასებიც შესძლებენ სთქვან თავიანთი პირუთვნელი სიტყვა და ნათელი აზრი. და ჩვენთვის ნამდვილი ეროვნული პროგრესიც მაშინ დაიწყება.

ა—ი.

უკანასკნელი ამბები

როგორც დანამდვილებით გავიგეთ, გაბაანთ გარდა, საპოლიტეხნიკუმოდ საბურთალოზე, მიწები შეუწირიათ აგრეთვე ხიშმიაშვილებს, დიასამიძიანთ, ბაისოლოლოვს, ქეფინოვს და სხ.

—

ოთხი სოფლის ხიზანთ მიმართეს კ. ჩხეიძეს და უკანასკნელმა სენატორ ვატაცის, რათა დაიფარონ იგინი მემამულე მდივანის დევნისაგან. (ამგვარად მალე გამართლდა ჩვენი წინასწარმეტყველება, რომ ს.-დემოკრატები ახლა ხიზანთა პარტიობას დაიხვევენ ხელზედ).

თ.-აზნ. დეპუტატთა საკრებულომ გაძლიერებულ სხდომაზედ (УСИЛЕННЫЙ СОСТАВЪ) გადასწყვიტა დეპუტაციის გაგზავნა სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტში, რათა დაიცვას კახ. რკ. გზის ინტერესები. როგორც გავიგეთ, დეპუტაცია უკვე გაემგზავრა.

—

მანიფესტს, სხვათა შორის, ნება დაურთავს რუსეთში შემოსვლისა მ.გორკისა ❦ ამფითეატროვისათვის, მაგრამ მათ უარი განუცხადებიათ სამშობლოში დაბრუნებაზე.

—

გაზეთები იუწყებიან, რომ ჩვენმა თანამემამულემ ირაკლი ჯაბადარმა, გამართა კონცერტები ვენაში, რომელსაც დაესწრო შნიცლერი, ელბერგერი, ვოლფზონი და სხ.

ირაკლი ჯაბადარი სწავლობდა მეორე გიმნაზიაში. მესამე კლასიდან წავიდა მუსიკის შესასწავლად ქ. ბრიუსელში, სადაც დაჰყო 1910 წლ. 1911 წ. წავიდა ვენაში, საცა მუსიკალური სწავლა დაასრულა გამოჩენილ პროფესორთა ხელმძღვანელობით. პროფესორების სიტყვით მას აქვს განსაკუთრებული ტემპერამენტი, რომელსაც შოპენისას უდარებენ. ამ ახალგაზრდა პიანისტს აქვს შემოქმედებითი ნიჭიც. დღემდე მას აქვს დაწერილი სონეტები a'la შოპენ; საყურადღებოა **დედა და შვილი, მთანი** „გლოვა ჭავჭავაძის დაკარგვის გამო“, „მესტვირული“ (ილიას სიტყვებით: „ყური მიგდეთ, გეტყვით ამბავს“) და სხვა და სხვა.ი. ჭავჭავაძის სატრფიალო ლექსები თითქმის ყველა აქვს გადაღებული ნოტებზე.

ამ წლის დამდეგს მან დადგა კონცერტი ქ.ვენაში, პროგრამა მეტად რთული ჰქონდა: ბეთჰოვენი, შოპენი და საკუთარი ქირთული რაფსოდიები. კონცერტს დაესწრნენ გამოჩენილი ავსტრიელი მწერალნი და კომპოზიტორნი.

ამ ჟამად ირ. ჯაბადარი აპირებს პარიზში გამგზავრებას, შემდეგ ბრიუსელში, პეტერბურგში და ბოლოს აქ გვესტუმრება. ვუსურვებთ სრულს გამარჯვებას.

P. S. მალე ჩვენი რედაქცია გამოაქვეყნებს ავსტრიულ ჟურნალ-გაზეთებში დაბეჭდილ რეცენზიებს ჯაბადრის კონცერტის შესახებ.

—

ივ. მაჩაბლის თარგმანთა გამოცემა

რადგანაც ძველი გამოცემანი ჩემი მეუღლის, ივანე გიორგის ძის მაჩაბლის თარგმანებისა **შექსპირის** თხზულებათა უკვე აღარ მოიპოვება გასასყიდად და, რამდენადაც ვიცი, მსურველი კი ამ წიგნებისა ბევრია, —განვიზრახე ხსენებულ თარგმანების ერთად გამოცემა, რომელსაც, სხვათა შორის, დაერთვის ივანე მაჩაბლის ბიოგრაფიაც.

ამის გამო მივმართავ იმ პირთ და დაწესებულებათ, ვისაც მოეპოვება ცნობები ივანე მაჩაბლის მოღვაწეობის შესახებ, მისი წერილები საზოგადო ხასიათისა, ან სხვა რამ მასალა, ბიოგრაფიისთვის გამოსადეგი, მომაწოდონ დროებით და გამოცემისათვის გამოყენების შემდეგ, უკანვე დაუბრუნებ დიდის მადლობით. აგრეთვე ვთხოვ მაცნობონ — რა და რა პერიოდულ გამოცემებში ათავსებდა იგი თვის ნაწერებს და რა ფსევდონიმით.

კნ. ანასტასია ალექსანდრეს ასული მაჩაბლისა.

—

ახალი სამეცნიერო საზოგადოება. თბილისში ხსნის თავის მოქმედებას ახალი სამეცნიერო საეთნოგრაფიო, საისტორიო და საენათ-მეტყველო საზოგადოება, დაარსებული ქალთა უმაღლეს კურსების პროფესორთა და ლექტორთა ინიციატივით. საზოგადოების უკანასკნელ დახურულ სხდომაზე თავმჯდომარედ საზოგადოებისა აირჩიეს ა. მ. დირი, ამხანაგად ა. კ. მარქაროვი, საბჭოს წევრებად ე. ა. ლოლაიანცი, მ. ვ. ბელიაევი. და ს. ნ. კაკაბაძე.

„ზაკ. რეჩი“.

თავ. პ. ი. თუმანიშვილს მიუღია ავტომობილების კონსეცია სპარსეთში.

„თემი“.

შინა მრეწველობის აგონია ჩვენში

III.

ჩვენი სოფელი სწორედ რომ მრავალის მხრით საყურადღებო სოფელია. ევლდაფერში აშკარად ვხედავთ, რომ აქ ძველი შინაურულ-თვითოდი ცხოვრება დანგრეულა, განადგურებულა ძველი წესები მრეწველობა-მეურნეობისა, მაგრამ ამავე დროს ახალი ცხოვრების წესები აქ სრულებით ვერ განვითარებულა სათანადოთ. ძველის დანგრევა ჩვენი ცხოვრების განვითარებას მოასწავებდა, მაგ-

რამ ახალ ცხოვრების განუგეთარებლობამ კი ჩვენი ხალხი კრიტიკულ უოფაში ჩააგდო. ის არც ძველისაა და არც ახალის.

ძველებური ცხოვრება დაჭკმა, ძველი არც ლაპარაკი მოსწონს და არც ტანთსაცმელი. მოდები და კომფორტი თავბრეს ახვევს ადგილობრივ მკვიდრთ, ამიტომ აქ საკვირველ ამბებსაც აქვს ალაგი. სწორედ ისეთ ფაქტებს, რომელთ არსებობაც შეუძლებელია დინჯსა და განათლებულ ხალხში. ეი მაგალითად, სოფელ ლანჩხუთს 1909 წელს ქალაქ ოზურგეთიდან ეწვია ერთი მანდილოსანი, რომელსაც ევროპიელ ფეხსაცმელების გერგილარობა ჭმობდა შესწავლილი. ლანჩხუთელები ხომ დიდი მოდის ხალხია, აბა „რანტიანი“ და მადალ ქუსლებიანი ფეხსაცმელები ხომ მათი საუკარელ-სანატრელი საგანია—რადა გვინდა იმის უკეთესი, თუ ასე საინტერესო ხელობა ვისწავლეთო და ეი მთელი ლანჩხუთის ოდნავ შეძლებულ-თავისუფალი ქალები ეხვევა ამ ახირებულ ხელოსანს, თვით სოფლის მასწავლებელი ქალებიც არ დარჩენილა რომ ხარაზობა არ ესწავლათ. ოსტატი ქალი თვითეულ მოწაფეს მხოლოდ ათ მანეთს ახდევინებდა და ტეხნიკისა თუ ვარჯიშობის უკანასკნელ სიტყვას შეკირდ-მოწაფეებს სულ ერთ თვეში ათვისებდა. ამ „ხარაზ-მანიობა“-ს შედეგად ის მივიღეთ, რომ სოფელი ხელოსან-ოსტატებით გაიავსო, ერთ-ორ თვეში ადგილობანებით იკერებოდა სოფლებში ევროპიული ფეხსაცმელები, მაგრამ ძანი ძლიერ მალე განელდა, ქალებს ტაკვზე მუშაობამ ხელები დაუშავა და დაუბერა, შემოსავალი კი ამდენ ხელოსნებს რა ექნებოდა და დღეს ერთ ქალსაც ვეღარ ნახავთ რომ წაღებს ჭკერავდეს.

სწორედ ასეთივე გატაცებით შეხვდა მთელი აქაური საზოგადოება სოფლად ქალთა ბრიფესიონალური სკოლის დაარსებასაც, ეს იყო 10—12 წლის წინად. წარმოუდგენელი სიხარულით დაეწყო ამ სკოლას ხალხი. ჭრა-კერვას შევისწავლით, ქარგვა გვეცოდინება, ხატვა, მუშაობა—და ამაზე მეტად საჭირო რალაა ცხოვრებაშიო. დაეხვია ხალხი სკოლას, მაგრამ ესეც მხოლოდ რამდენიმე ხნით, მხოლოდ ორი წლის სინამდვილე იყო საჭირო, რომ სკოლის კარები დაკეტილიყო და მისი ხსენებაც კი გამქრალიყო თითქმის ხალხში. ეველა ეს გარემოება იმის დამახასიათებელია, რომ სოფელში დიდი ძალაა უმუშაოდ დარჩენილი და საკმარისია ერთი რამ მხსნელ საწარმოო ძალად მიეგლინოს ხალხს რომ მეისვე დაეწყოს მას. როგორც კი გამოჩნდება დაწყებულ საქმის ნაკლებად სარგებლიანობა, გაშლილი იმედი იკეცება და კვლავ შავი ფიქრებით იმოსება ხალხი.

მხოლოო ერთი ქალიშვილი ვნახეთ სოფლად, ბ-ნი მ. ცინცაძისა 25 წლისა, რომელსაც ქარგვა-ქსოვა ცხოვრებაში რამდენადმე გამოუყენებია. 1912 წელს, როდესაც ჩვენ ამ მწარმოებელს ვეახელით, რამდენიმე შეკირდი ჭეავდა აუვანილი, რომლებსაც აცნობდა და ამზადებდა ბალიშის და მუთაქის ბირების ხარგავად. ექსპონატები საინტერესო იყო, ბაზარშიაც გაატანო ხელსაქმე, მაგრამ მისი მეიდეული მხოლოდ შეძლებული და მდიდარი ხალხია, მხოლოდ ისინი, რომელნიც სიდამაზისათვის და კომფორტისათვის ფულებს არ ზოგავენ. ამიტომაც, რომ ამ მახლობლანის წარმოება ფრიად ვიწრო ფარგალშია მომწყვდეული და საწარმოო ბირობებში ეოველად უმნიშვნელო ძალას წარმოადგენს. წარმოება ხომ ინტერესების მიხედვით ვითარდება და ამ მხრივ ეს წარმოება კი ეი რა სურათს გვიშლის: ერთი მუშა ქალი ერთ ბალიშის ბირს მოანდომებს საშუალოდ ორ დღეს (18 საათს), ხოლო თვით მასალები უჯდება 1) აბრეშუმ-ნარგვი ხაგერდი—1 მან., 60 კაპ., აბრეშუმის ძაფი —1 მან. 50 კაპ. ასე რომ დედაკაცის ორი დღის შრომა რომ მხოლოდ ათმაურად ჩავთვალოდ ბალიშის ბირი დაჯდება უკანასკნელი 3 მან. 60 კაპ. და ბაზარზე კი მანქანურ საწარმოებ ამავე ხარისხის საქონელს ჭეიდიან საშუალოდ ორ მანეთად. ასე რომ ხელსაქმის ამ დარგს ეოველად მცირე მნიშვნელობა აქვს ხალხისათვის, რადგანაც ფაბრიკამ წარმოების ეს დარგი აუცილებლად დაასამარა. ამიტომ სოფლად აქაოიქ ქსოვა-ქარგვას უფრო კომფორტის ინტერესების გამო ეწევიან, ოჯახის მოსართავად და დროს გასატარებლად. ცხადია, ასეთ საწარმოო ძალას ჩვენ ნაკლებ უურადღებას ვაქცევთ.

ზეგიო ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მინა-მრეწველობის ერთი უმთავრესი დარგი—შალეულობის ქსოვა, ცხოვრების განვითარებამ გარიყა. ბირველად შალეულობა ხალხში ვრცელდებოდა დალალებისა და ოკრძების საშუალებით. დალალეები უმთავრესად ბაზრობის დროს მოქმედებდნენ, ხოლო მეთერძე-მკერავებთან ოხისა და მეგრულ შალების მუდმივი საწყობი იყო. გურიაში—ძველებური „ჩაქურა“—ნაციონალური სამოსელი ერთიანად გაჭრა. მის ნაცვლად გურულებში თან და თან დამკვიდრდა იმერული ტანთსაცმელები. მაგრამ ტანთსაცმელის ასეთი რეფორმა ხანმოკლე გამოდგა. გურიის საზოგადოებრივი ცხოვრება ძირიან-ფესვიანად იცვლება და ცხოვრების ეს ცვლებადობა ტანთსაცმელის ფორმაშიც ეხატება. მაგალითად, დღეს სწავლა-განათლების ნიშანი ხალხის თვალში გახამებული ბერანგი და საუელოებია, ევროპიული სამოსელი და ფეხსაცმელები. ხალხიც —მოტრფიალე ევროპიულ კულტურისა—თან და თან ეთვისება განათლებულ ხალხის ფორმებს და როგორც მოგეხსენებათ, ხალხის სურვილსა და გემოს ეველაზე უმალ ვაჭარი და მკერავი იგებს. ამიტომ, ჩვენს დაბის ეოველ მალაზია-

ში მრავლადაა შემოტანილი რუსული შალები და მაუდე-ბი და აგრეთვე ინგლისური. რაკი უცხოეთის საქონელი შემოვიდა ხალხში, ახლა მკერავებმაც გაიგეს მდგომარე-ობა და აზიურ ტანისაცმელების სახელოსნოები მიიკეტ-მოიკეტა. წინად ასეთი სამკერვალო ხუთი-ექვსი იყო, დღეს ის სრულიად მოისპო და თუ ჩოხა-ახალუხს მკერა-ვენ, ისე—სხვათა შორის. სამაგიეროდ, დაბაში ამ ჟამად ორი ევროპიულ ტანისაცმლების მკერავია საკუთარი მაღაზიით და დაქირავებულის ძალით. ერთი სრულიად ახალი, მეორე ძველი, რომელსაც რუსეთში უმოგზაუ-რია და ევროპიული ჭრა-კერვა სათანადოთ შეუსწავლია.

ერთ მორიგ დღეს ამ უკანასკნელ მკერავსაც ვე-ხვედით. სამი-ოთხი შეგირდი ვნახეთ მომუშავე, ორი თუ სამი ზინგერის სისტემის საკერავი მანქანა. გავიგეთ, რომ მკერავი კლიენტებს ძლიერ ემადლიერება და სამუ-შაო თან და თან მატულობს. იგით სამკერვალოს პატ-რონს—ბ. ექვთიმე ბაღდავაძეს ძლიერ კარგად ახსოვს ჩვენი ცხოვრების წარსულიცა და აწმყოც; ის ცვლილე-ბა, რომელიც ასე თვალსაჩინოა ყოველ მკვლევარისა-თვის. ჩვენ მის სახელოსნოში მუდამ ვხედავდით ადგი-ლობრივ შინა-მრეწველობის შალებს და რადგან ასეთი შა-ლები ვეღარ შევამჩნიეთ მის მაღაზიის თაროებზე შე-ვეკითხენით:

— თქვენი ძველებური შალები—სადღა არის?

— ხალხმა კაი ხანია ზურგი შეაქცია ამ შალებს—მოგვიგო მკერავმა, ხოლო თუ ზოგიეროები კიდევ ეტანებიან მას, ეს ისე—ჩვეულება რჯულთ უმტკიცე-სიაო რომ იტყვიან. ისე კი, ახლა მაუდი და რუსული შალების შემოსვლით. და მართლაც: რუსული შალის ფასი, აგრეთვე ევროპიულის—ორ აბაზს უდრის. კარგი რუსული შალი ადლი ერთ მანეთად—ექვს აბაზად იყი-დება. სჩოხედ, მაგალითად, დასჭირდება საშუალოდ 4½—5 არშინი. ასე რომ ჩინებულ სჩოხეს იშოვის მომ-ხმარებელი ექვს მანეთად. შინური შალი კი ასეთივე ხარისხისა თუმანზე ნაკლებ აღარ იშოვება. განა საკვირ-ველია რომ ორმა გარემოებამ—ხალხის სიღარიბემ და ფაბრიკის ნაწარმოების სიიაფემ ჩვენს შინა-მრეწველობას ლახტი შემოჰკრას და ჩვენებური შალი გარიყოს? და აგი დღეს ჩვენებური შალი იშვიათი მოვლენაა თვით ჩვენშიაც. ამაზე მეტი განადგურება ჩვენი შინა მრეწვე-ლობისა ყოვლად შეუძლებელია.

მაგრამ აქ საინტერესო ხდება გაგება ჩვენი ცხოვ-რების ერთ ძლიერ ფაქტორის დაკნინება-დაუძლურების მიზეზებისა, და ამიტომ შემდეგ წერილში გავეცნობით მიზეზს შინა-მრეწველობის განადგურებისა და მრეწვე-ლობის განუვითარებლობის.

თევდ. ღლონტი.

მიმქრალი სულის აღსარება *)

ეროვნული ბიბლიოთეკა

* *
*

...მახსოვს სამშობლოს საზღვრების გადალახვამ რა რიგი იდუმალი ტკივილები მაგრძნობინა, მაგრამ ოცნებით გატაცებულმა, რომ რჩეულთა გუნდს ვე-კუთვნოდი, რომელიც სულ ადვილად ზეკაცის სა-ხელს დამამსახურებინებდა, უმალ ჩავუკალ ტკი-ვილს პირი, მეტი სიმხნევე მოვიკრიბე, მეტი სიმ-ტკიცე და კვლავ ამაყად განვაგრძე გზა.

მახსოვს ის დაუსრულებელი გულის წყრომაც, როდესაც რუსეთში გავლით აქა-იქ საუნივერსიტე-ტო ქალაქებში ჩამოვხტი და ჩემს თანამემამულეთა სანახავად დავრჩი მოკლე ხნით. ოჰ, ღმერთო! რას არ ვოცნებობდი ჩვენს ახალგაზრდობის შესახებ, რა იმედებს არ ვაყვავილებდი! მაგრამ როდესაც დავი-ნახე ჩემი შეცდომა, როდესაც დავინახე, რომ ასსა და ორასს ჩემისთანა მემამულე ახალგაზრდათა შორის ცალიც არ ერია ჩემი საიდეალო კაცი, ჩემებრ რჩე-ული, გული ამევსო სევდით და საშინლად დამი-წყო კვნესა:

— ნუთუ მართლა ესენი არიან მარილი ჩვე-ნი ქვეყნისა? ნუთუ ჩვენი ახალგაზრდობა იმდენად დაქვეითდა, რომ იდეალი ქალთა ქობაში დაუნახავს, ბილიარდში და ქაღალდის თამაშში? ნუთუ ლოთო-ბის სასწავლებლად გადმოიხვეწნენ აქ, როდესაც იქ უფრო მეტი სარბიელი ჰქონდათ ამ მხრივ, რომ უცხოთა თვალში სახელის გასატეხად არ მოსული-ყვნენ? ეჰა, აღსრულდა! მართალია მრავალთა გო-დება! იტირე შენ, ჩემო უბედურო სამშობლოვ! თუ რომ აქამდე ჯვარს გაცმევდნენ შენ ურჯულო-ნი, დღეს შენი შვილნი აღგიყვანენ გოლგოთის მთაზე: შენ აღარა გყავს შენი ნორჩი ახალ თაობა, აღარ არსებობს ახალგაზრდა საქართველო, იგი შორსა სდგას შენს იდეალებთან. სახიერება დაკარგულსა, შენ ვეღარ იცნობ, ოჰ, ვერა დედი! იგლოვე ტკბი-ლი ხსოვნა მათი არსებობისა! შენ ვერ განასკვავ ნაწყვეტს სიმსა, რომლითაც ერთ დროს ამირანის ჯაჭვთა დაწყვეტას იმღერდი გულში!..

ასე ვიძახდი თვალ ცრემლიანი და ნუგეში ვე-ღარ მეპოვნა.

მახსოვს, ან როგორ დამავიწყებდა ის გარემო-

*) იხ. „კლდე" № 9.

ება რომელიც დაჰბადა ჩემმა პროტესტმა. დამთვრალნი მუშტებს მიღერებდნენ, უშვერად იგინებოდნენ და თან დაჟინებით მთხოვდნენ საბუთს, ვითომც იმის დასამტკიცებლად, რომ მე ასე მკიცხავი ვარ, რომ ჩვენ არა ვლოთობთ, პირიქით, სამშობლოს კეთილ-დღეობას ვემსახურებითო!

ოჰ, ღმერთო, რა ორკეცი წუხილი ვიგრძენ ასეთს უსამართლო იერიშზე!

ერთი გამოჩნდა „ღვთისნიერი". მან შემიფარა. ჰოდა რა, მართალს ამბობსო! მაგრამ „ჰოდა რა" იმითი დამთავრდა, რომ ამას ყველამ ბოიკოტი გამოუცხადა. დანაღვლიანებული წავედი იმის ბინაზე. როდესაც გონება მოვიკრიბე, გავოცდი, რომ ამ „ღვთისნიერსაც" არც ერთი წიგნი არ მოეპოვებოდა ოთახში, სამაგიეროდ ორ-სამს მაგიდაზე გაშლილი სათამაშო ქაღალდი დამხვდა. მაგრამ თავი შევიკავე, არ ვაგრძნობინე ჩემს კეთილის მყოფელს უეცარი ჩემი შეკრთობა.

— ძმობილო, ვეუბნები,—ერთი პატარა ქაღალდის ნაჭერი მომეცი.

ის ჟურნალის ცალს გვერდს მაწოდებს.

— ეს არა, თუ საწერი ქაღალდი გაქვს... ჩემი შთაბეჭდილებანი მინდა დავწერო. დღიური ბარგთან დამრჩა სადგურზე.

„ღვთისნიერმა" გაიცინა:

— საწერი ქაღალდი? ეხლავე გიყიდით, თუ კაპეიკს მასესხებთ... ფული წავაგე და შინ კი დიდი ხანია ქაღალდი არ დამჭირებია. საზოგადოთ კი ქაღალდს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში ვხმაროობ... ჩვენებს წერილებს არა ვწერ, დეპეშით ვატყობინებ, როდესაც ფული დამჭირდება ხოლმე. ამ გარემოებამ კი სულ ერთიანად გადამაჩვია ქაღალდის ხმარებას. გიყიდოთ?

— გმადლობთ! -მოკლედ მოვუჭერ. მას კიდევ რაღაცა უნდოდა ეთქვა. უმადურს ლრეჭაზე შევატყე, რომ ხეირიანს არას იტყოდა· მევე გავწითლდი მის მაგიერ და საჩქაროდ გამოვემშვიდობე.

— როგორ? ასე მალე?

— ჰო, მიგვიანდება. საცაა, მატარებელიც მოვა.

— დარჩენილიყავით ორიოდე დღით, ჩვენს ქალაქს გაგაცნობდით... იმდღეს ალექსანდრე II-ეს ძეგლი დადგეს, ბევრად საინტერესოა ..

— გმადლობთ, -ერთხელ კიდევ გამოვემშვიდობე და გარედ გამოსვლისათანავე ეტლს მივაშურე.

— სადგურისაკენ! შევძახე მეეტლეს.

გოროზი სახე სადგურზედაც არ გამეშალა. უცნაური შთაბეჭდილებანი ეხლაც ვერ გამცლოდნენ თავიდან. უკედ, ვერ მიმხვდარიყავი, თუ რას ნიშნავდა ყველა ესა: ცხადლივ იყო თუ მოჩვენება?

ჰა ჰა—ჰა—ჰა!

— ნეტარ არიან უბრყვილონი რამეთუ მათ შეისწავლნეს ქვეყანა!

* * *

ჩემი დღიურის ერთ-ერთს გვერდზე ერთის ამბით აღმინიშნია ჩემი პარიზში ჩამოსვლა. ეს მოხდა 19.. წელს, 17 ოქტომბერს, რათქმა უნდა, ახალის სტილით. მაშ ასე, მე პარიზში ვარ. მერე? ჰო, მახსოვს, ყოველ შემთხვევაში დღიურის ფურცლებს შეუძლიანთ მომაგონონ, თუ როგორის მოწიწებით ვემთხვიე ამ დიდებულ ქალაქის გულს, როგორც უწმიდესობის ემბლემას, როგორც დევნილი ისრაელი აღთქმულს ქვეყანას!

ოჰ, თავბრუს მსხმელო მოგონებავ!

აი, ეხლაც კი შვების ცრემლები მესურება ეს ისეთი გამაბრუებელი წუთები იყო... რარიგ განვიხარებდი, როდესაც მისტიურ ღმერთის ქანდაკებას ვუმზერდი გონების თვალით: მას ხელთ ეპყრა თეთრი ზამბახის შტო, ვითაარცა სიმბოლო უაღრესი თავისუფლების! მის წინ ბოროტება თავ გასრესილი ეგდო, შვება ეგრძნოთ დანტონის ძვლებსა... აგერ მეც ვუერთდებოდი კომმუნალთა გამარჯვებულს სულს, რომელიც უჩინრად ძლევის სიმღერას მოიმღეროდა სენის ნაპირზე!

— სალამი შენდა! სალამი, თავისუფლების აკვანო,—ვჩურჩულებდი უაღრეს გრძნობათა აღტყინებით: სალამი შენდა, ახალო იერუსალიმ, ქალაქთა-ქალაქო და მეუფეთა-მეუფეო! ნება მომეცი უცხოელ მწირს, რომ მაგ შენს გულზე აღმოცენილს თეთრს ზამბახს სიხარულისა და მადლობის ცრემლთა მძივი მოვასხა ყელზე, ოჰ, ნება მომეც..!

და... ისიც ხელს მიქნევს, უცხო სტუმარს გულში მიხუტებს, სულ ახალს სიტყვას ჩამჩურჩულებს, ახალს ჰანგს, ზღაპარს...

აჰ, ეს სიზმარი!.. ეს ჩურჩული!.. ეს გაბრუება!..

ნეტავ რად იყო მხოლოდ ერთი ტკბილი ზმანება? ნეტავ რად დარჩა მხოლოდ ერთი ჩურჩულის ჩრდილად? ნეტავ რად იყო გაბრუება, მხოლოდ სიმთვრალე?..

* * *

...აი, ჯერაც სრულებით ვერ მოვსულვარ გონსა ეს თითქოს დაუჯერებელი რამ არის. სიზმარი ამიცხადდა: დღეს პირველად შევყავი თავი ღვთაებრივად გაჭიმულს მეცნიერების ტაძრის თაღებს ქვეშ! ეხლაც არ მავიწყდება ის აუწერელი აღტაცება, რომელიც გამოიწვია ჩემში ჩემმა პირველმა დებიუტმა სამეცნიერო ასპარეზზე. ოჰ, ღმერთო! რა რიგი აღელვებით, რა რიგი მოოცხვობით და აღაჟღაჟებული ლოყებით შევველი ლექციების ყურის საგდებლად! რომაულს რიგზე გამოწყობილი პროფესორი კათედრიდან გადმომდგარა, მოგვესალმება და გვპირდება ერთად მუშაობას. ჩვენი გულწრფელი ტაში იმასაც ისე აღელვებს, როგორადაც მისი აღფრთოვანებული სიტყვები ჩვენ! ნეტა ვინ გავიმარჯვებთ, ჩვენ თუ ის? ეს კია, რომ კორიდორებში ერთის ამბით გამოვდივართ, მოვიგონებთ სტუდენტურ სიმღერებს, ყველანი ერთად ვირევით, დიდი-პატარა, ვინ არის ჩვენში პროფესორი, ვინ არის სტუდენტი — შეუძლებელია გავარჩიოთ. ეს ერთგვარი ბავშვური აღტაცებაა! კურსის დაწყებამ გიმნაზიური ხასიათი კიდევ ერთი შეხედვით მოგვაგონა: ყველას რვეულები გვიჭერია, ცალკე კიდევ მექანიკური კალმები, ასე რომ შუშით მელნის ტარება აღარა გვჭირია. როდემდინ გრძელდება ეს ამბავი? საათს, ორს, სამს... ხუთს... თითქმის საღამო ფრთას შემოჰკრავს, რომ ჩვენ ნელ-ნელ ვიშლებით, ერთგვარი აღფრთოვანების ღვინით დამთვრალნი. პირადად მე ძლივ-ძლივობით მოვახერხე ჩემს ოთახში შესვლა. ოჰ, ეხლაც კი მახსოვს... ღმერთს გეფიცებით, მახსოვს... იოტის ოდენაც არა დამვიწყებია რა ამ პირველი შთაბეჭდილებიდან... ეხლაც თვალწინ მიდგია ჩემი თავი, როგორა ვთრთოდი, როგორ საოცნებო სამეფოს გმირსავით მომქონდა თავი! კარგა ხანს მარტოდ-მარტო ვიჯექ კარჩაკეტილ ოთახში და ჩემს თავს თვითვე ვუმღეროდი ბედნიერების სიმღერას, მაგრამ ამ ხმებით თვითვე ვსტკბებოდი, ვნეტარებდი!

ეს იყო ერთგვარი „მრავალ ჟამიერ" აღფრთოვანებელის სულისა, რომელიც წუთიერ ექსტაზით ტლანქ ქვეყნიერების საზღვრებს სცილდება და თავშეუკავებლად მიჰქრის მშვენიერების ჩასაკონებლად, უცნობ ქვეყანათ გარდაღმა მხარეს.

არ გეგონოთ, რომ მხოლოდ ამითი გათავებულიყოს ეს ამბავი! არა! მე ხომ ჩემს თავს იქით მყავდა ჩემი კეკლუცი გულის სატრფო, მყვანდა მშობელი დედა, ჩემი უბის წიგნი, ჩემი დღიური და აი მეც, გამოველ თუ რა ექსტაზიდან, სასწრაფოდ მოვყე დიდის ამბით სატრფოსთან წერა. ეს იყო ნაზი, ღვთაებრივი პოეზიის კაჭკამა ზვირთების კიაფობა, უმჭკნარი ვარდის განთიადის ჰიმნების ქსოვა, ფრთა თეთრ მტრედების აღტაცება კამარის უბეს და წყვილ მერცხალის უნაზესი ჟღმურტულ-ჭიკჭიკი, როდესაც ერთურთს მოუთხრობენ შემოქმედების საკვირველებას...

შემდეგ შევუდექ ჩემი დღიურის წერას: რიცხვი, ადგილი, სორბონის მოხაზულობა, შემდეგ ახალგაზრდობის ტალღა... არა, დაუჯერებელია! ეს ხომ მირაჟია... მოჩვენებაა...

ოჰ, ღმერთო, სიტყვები თავისთავად მოჩუხჩუხებდნენ, თითქოს საზღაპრო ღმერთი წყაროს თავზე წამოწოლილა და ობლად ამოსულს ზამბახს ტკბილის ჩურჩულით ართობს მშვენიერ ბანოვანის და თეთრ ყელა გედის ზღაპრითაო. ვწერდი ჩემს დღიურს და თან გრძნობათა შადრევნიდან ამოხეთქილი ცრემლთა შხეფი სამადლობელ ძღვნად მომდიოდა მხურვალე ღაწვზე.

აი მოვრჩი დღიურის წერას და ახლა დედასთან ვაფრენ ფირმანს, რომ... აღსრულდა, შენი შვილი თეთრი იალქნით მიჰქრის სულ წინ, მეცნიერების ტაძარში უკვე ემზხვია საკურთხეველსა, რომ სათნოების ღმერთს მადლი შენს პირმშოს გარშემო დაუბერტყნია შენდა გასახარებლად და სამშობლოს სასახელოდ მეთქი. ოჰ, იმ დროს ჩემს ჭაბუკობის სიამაყეს, მართლაც საზღვარი არ ჰქონია; იმ ამაყობას, იმ აღფრთოვანებულს ამაყობას, რომელიც გამოწვეულ იყო რაღაცა მშვენიერის, ჩემთვისაც თითქოს უცხო რამ აღტაცების ნელთბილი ქარით! ჩემი საკუთარის სურვილით გადმოგდებული ამ უცხოეთს, გადმოგდებული თითქოს საკაცობრიო მაღალ იდეალების განსახორციელებლად, არ ვიცი რატომ, პირველად ისე ვგრძნობდი, თითქოს დამეწყოს ახალი, სულ სხვა სახის სულით ცხოვრება, დიახ, იმ სულით, იმ შემოქმედ განწირულებით აღსავსე სულით, რომლითაც მომადლებულნი არიან სამშობლოს მიერ რწმუნებულნი უკვდავნი გმირნი, რომელთა მკლავისა და მახვილის სიძლიერეზე დამყარებულია კაცობრიობის ბედ-ილბალი, მისი უკანასკნელი ხსნის იმედი. და რომ ეს ასე იყო, რომ ჩემს თავს ასეთს დიდბუნებოვან წინასწარმეტყველად ვიგულებდი, მე მინდოდა, რომ ჩემს თანამედროვეთ ადრევე დაეწყოთ განგაში ჩემს სახელის გარ-

შემო ადრევე ეკმიათ ჩემთვის გუნდრუკი უკვდავებისა, რათა ამ ახალგაზრდობაშივე გავმხდარიყავ მათი სათაყვანებელი და სალოცავი კერპთა-კერპი, არმაზთ-არმაზი! თითქმის წინასწარვე მოვალედ ვრაცხდი მათ, რომ ასე მომპყრობოდნენ, თუმცა ჯერ-ჯერობით მათი კონცხისთვის გადუტვირთველი ოცნების გემის მეტი არა მიმიყენებია რა...

დ. კასრაძე.

(შემდეგი იქნება.)

„ზომიერება“

გაზ. „ჩვენ დროების“ საფლავზედ ცხელ ცხელი „რეჩები“ წარმოითქვა და ბევრი ცხარე ცრემლი დაიღვარა.

„თემის“ რედაქტორი როგორც შეეფერებოდა პირველი დაესწრო მის დასაფლავებას და დიდებული სიტყვაც წარმოსთქვა. რად დაიღუპა ასე უდროოდ „ჩვენი დროებაო?“ პათეტიურად შეეკითხა „ხალხს“ თავადი დიასამიძე. „ზომიერებამ დაღუპაო!“ უპასუხა მას ერთხმად „ქართველმა ხალხმა“ ე. ი. თვით ბატონ „თემის“ რედაქტორმა. „იმ ელემენტებს,—ამბობდა აღელვებული ჭირისუფალი „ჩვენი დროებისა“,—რომელთაც შეეძლოთ შეედგინათ ასეთი ზომიერი ორგანიზაციები, ხალხის საუკეთესო ნაწილი, რომელსაც სასიცოცხლო ნიშანი უფრო აქვს, სრულებით არ ენდობა. და ამიტომ ეს ელემენტები იძულებულნი არიან ან დაიხოცნენ ანდა მიეკედლონ არსებულ ჭეშმარიტ დემოკრატიულ ჯგუფებს, რომლებმაც დაიმსახურეს ხალხის უმრავლესობის ნდობაო.

„აი მაგალითად, ჩემი „თემის“ დემოკრატიზმმა ამ უმრავლესობის ნდობა კაი ხანია დაიმსახურა. გაზეთის ტირაჟი დღითი დღე იზრდება, ხალხიც იტაცებს ჩემს გაზეთს. მეტადრე იმერეთი.

„ეს იხსნება ჩემი გაზეთის წმინდა დემოკრატიულ პრინციპების ხალხში გავრცელებით. მაგალითად მე ვხედავდი რომ ქართველ თავად აზნაურობის მარშალი დემოკრატი არ არის და ვურჩევდი ქართველ ხალხს ნამდვილ და ჭეშმარიტ დემოკრატის თავად სუმბათაშვილის არჩევას. ავიყვანე კიდეც მარშლის სავარძელზე... მაგრამ დემოკრატ დემოკრატიის მტრებმა ავად გამიხადეს და აღარ დარჩა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედგრად ვიცავდი ქართველ-დემოკრატიის სახელით თავად პავლე თუმანიშვილის და ტაგისიანცების უფლებათ... ქართველ ხალხისვე საკეთილდღეოდ გამოგილანძღეთ თქვენი ცრუ დემოკრატი ა. ჯორჯაძე. ჩვენი სასიქადულო მგოსანი აკაკი ჭეშმარიტ სოც. დემოკრატად ვაქციე...

შავრაზმელ სილოვან ხუნდაძეს ცხვირიდან ძმარი ვადინე, არისტოკრატების მგოსანს ი. გრიშაშვილს თმა ვაგლეჯინე...

ვატმანების პროტესტები ვბეჭდე... და ბევრი სხვა... ვინ ჩამოსთვლის იმ აუარებელ მაგალითებს, რომლის საშუალებით მე, თავგანწირულად ვუკაფავდი ქართველ ჭეშმარიტ დემოკრატიას წინ სვლის გზებს?

„თემის“ ღვაწლი დემოკრატიის წინაშე უზომო არის... და აი რითი იხსნება ჩემი „თემის“ წინსვლა და მკითხველების მიზიდვა.

და აი რატომ, ბატონებო, ზომიერ ელემენტების გაზეთები უდროოდ იხოცებიან; მათ აკლიათ ეს ჭეშმარიტი დემოკრატიზმი და ქართველი ხალხის საუკეთესო ნაწილი, რომელსაც სასიცოცხლო ნიშანი ეტყობა, მათ არ ენდობა.

და აი ამიტომ ვმარხავთ დღეს უდროოდ მიცვალებულს გაზ. „ჩვენ დროებასაც“, დაამთავრა თავისი „საყურადღებო“ სიტყვა ჭეშმარიტ დემოკრატმა თავად დიასამიძემ.

—

„თემი“ს რედაქტორის სიტყვის შემდეგ „სახალხო გაზეთი“ შიშმა აიტანა... ვაი თუ ჩემი ზომიერება აქვს... მხედველობაშიო სწრაფად წინ ფეხი გადადგა და წაილულლულა... „ღმერთმანი მე... თქვენი საყურადღებო სიტყვა...რა თქმა უნდა მართალი ბრძანებით მიკედლება სოციალ-დემოკრატიულ ჯგუფთან მოსახერხებელიც არის და სასურველიც... მაგრამ... მაგრამ ვაი... უბედურობა ის არის, რომ (ტირის) ჩვენი იდეური მოწინააღმდეგენი, სოც.-დემოკრატები, მედიდურები არიან... ყოველ დღე გვლანძღავენ, სოლოლაკის პლუტოკრატიას მხარს უჭერენ... თორემ რატომ... თუმცა მართალია ჩვენ გზებს სხვა და სხვა მიმართულება აქვს, მაგრამ (ქვითინებს) რატომ,— შევერთდებით... გინდ არც ისე სასურველი იყოს. მაგალითად კახე-

თის და სილნალ-ბაქოს გზები ხომ შეერთდნენ. ჩვენც შეგვიძლიან...

თქვენი უზომო დემოკრატიზმი, თქვენი სიყვარული დემოკრატიისადი, თქვენი დემოკრატიზმით გაჟღენთილი საქმიანობა განთქმულია, თავადო დიასამიძე!

მოდით ერთად მივეკედლოთ.

მაგრამ უბედურება ის არის... რომ (მდულარებით ტირის) ისინი ყოველ დღე გვლანძღავენ... სოლოლაკის პლუტოკრატიას მხარს უჭერენ... თორემ. . მე გავათავე...

მოსწყვიტა თავისი აღელვებული სიტყვა ,,სახალხო გაზეთმა''...

—

„თქვენ ყველანი სცდებით!“ ხმა მაღლა გადმოსძახა ჭირისუფლებს გაზ. „ჰორიზონმა“. ვინც საქართველოში სომხურ ბურჟუაზიის პოლიტიკის მომხრეა ის დემოკრატად ენდა ჩაითვალოს; და „ჩვენი დროება“ ერთად ერთი დემოკრატიული ქართული ორგანო იყო საქართველოში. გვიკვირს, რომ ჩვენი სალონების მუდმივი წევრი თავადი დიასამიძე ასე უსამართლოთ იხსენიებს მიცვალებულსა, „სახალხო გაზეთისა“ კი რა გაგვიკვირდება... მისი დემოკრატიზმი სომხის სალანძღველადაა გამართული და ძალიან საეჭვოა“.

—

„მართალია!“ სიხარულით მიეგება უკანასკნელ „ჰორიზონის“ სიტყვებს გაზ. „მერცხალი“ „სახალხო გაზეთის“ სულის ჩამდგმელი ჯგუფი არა ერთხელ ამხედრებულა ჭეშმარიტი დემოკრატიის წინააღმდეგ, ზომიერ და ხშირად რეაქციონურ ელემენტებთან ხელი ხელ ჩაკიდებული“.

—

ასტყდა ალიაქოთი... ჭირისუფლები დაერივნენ ერთმანეთს და ყველა ფიცულობდა ღმერთს, რომ სწორედ ის დაიბადა ჭეშმარიტ დემოკრატად, ნამდვილ დემოკრატად....

— ავტომობილების კონცესია!.. ყვიროდა დემოკრატიული თავადი დიასამიძე...

— ოჰ! ეს სოც.-დემოკრატები! ჩოდა თვალცრემლიანი „სახალხო გაზეთი“.

შოვინისტებო! შოვინისტებო! აჰ, შოვნისტებო გაჰკიოდა „ჰორიზონი“...

„კლდის ქურციკი“ კი განზე იდგა და ჰფიქრობდა: „საწყალო ჩვენო დროებავ“! შენ თვითონ არ იცოდი რისთვის დაიბადე, რა „ზომიერების“ იყავი და არც ის იცი რად გარდაიცვალე... და სხვები უფრო რას გაიგებდნენ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

21 თებერვალის უმაღლესი მანიფესტი და ამნისტია

1913 წ. 21 თებერვალს ბოძებულმა **უმაღლესმა** მანიფესტმა სხვა და სხვა შეღავათი მიანიჭა რუსეთში მცხოვრებთ.

ქვემოდ ჩვენა გვსურს მანიფესტის მხოლოდ ერთს მხარეს შევეხოთ - განვიხილოთ რა შეღავათი ეძლევა მისის წყალობით იმ პირთ, ვისაც ესა თუ ის დანაშაული ჩაუდენია და სასჯელს მოელოდა.

ამ მხრივ 21 თებერვალის მანიფესტი რამდენიმე ჯგუფად ჰყოფს დამნაშავეთ ზოგს სრულს პატიებას უბოძებს, ზოგს სასჯელს უმცირებს, ზოგს სრულიად უყურადღებოთა სტოვებს.

სრული პატიება გასამართლებისაგან და სასჯელისაგან განთავისუფლება ენიჭება იმათ, ვისაც ჰბრალდება **მეფის ან მის სახლობის და გვარეულობის** შეურაცხყოფა: **მათი** ავად ხსენება, დამუქრება და სხვ. ამ გვარი.

ასეთსავე სრულს პატიებას უბოძებს მანიფესტი ეგრედ-წოდებულ „ლიტერატურულ დამნაშვეებს“ —იმათ, ვისაც ბეჭდვითი სიტყვის საშუალებით ჩაუდენია დანაშაული. ეს გახლავთ ახალ სჯულდების (уголовное уложеніе) მე-128, 129 და 132 მუხლები, რომლებშიც იგულისხმება ის, ვინც მოუწოდებს მკითხველთ ამბოხებისათვის, სახელმწიფოს ღალატისათვის და სხვ.

სრულადვე ეპატიათ დანაშაული და მოისპო გასამართლება იმათი, ვისაც სხვა და სხვა მცირე ბრალი ედება, სახელდობრ ისეთი, რომლისთვისაც კანონს უმაღლეს სასჯელად დაუწესებია ციხეში დაპატიმრება (ღირსების აუყრელად), დატესაღება, ფულით დაჯარიმება არა უმეტეს 600 მანეთისა და სხვა და სხვა დატუქსვა (внушеніе, замѣчаніе, выговоръ- ჩვენი სისხლის ტერმინოლოგიით.)

სრულადვე ეპატიათ დანაშაული იმ თანამდებობის პირთ, რომელთაც მიუჩემებიათ ან გაუფლანგავთ **სამსახურით** მინდობილი სარჩო, თუ ეს უკანასკნელი 1000 მანეთზე მეტად არა ღირებულა და **თუ** დამნაშავეს დაუბრუნებია წაღებული 1913 წ. 21 თებერვლამდე.

ზემო-ხსენებული შეღავათი **არ შეეხება** იმათ, ვისაც ჩაუდენია ქურდობა, მოტყუება, დაჩემება ან გაფლანგვა **კერძოდ** მინდობილ ქონებისა, ნაქურდლის შენახვა ან გირაოდ მიღება, მოვახშეობა, მექრთამეობა, სახელმწიფოს ჯაშუშობით ღალატი და სხვა და სხვა დანაშაული, რომლის მიზანია გარყვნილობის ხელის შეწყობა, მაგალითად: დედაკაცის როსკიპობის გზაზე დაყენება ან დაბრკოლება დედაკაცისა, რომელიც მოისურვებს ამ გზის დატოვებას და სხვ. ასეთ დამნაშავეთ მხოლოდ სასამართლოს მიერ გადაწყვეტილ სასჯელის **მესამედი** მოაკლდება.

მესამედივე სასჯელისა მოუკლო მანიფესტმა ყველა მძიმე დამნაშავეებს (გამასწორებელ რაზმში მყოფთა) **გარდა იმათი,** ვისაც დაურღვევია ახალ სჯულდების—100, 101, 102 და 126 (ნაწ. მე 2) და სისხლის სამართლის (уложеніе о наказаніяхъ) მე-922 987, 931, 1449, 1451 (ნაწ. 1), 1453, 1477, 1632—1634, 1643 და 1654 მუხლი ესე იგი: 1) უმძიმესი დანაშაული ჩაუდენია სახელმწიფოს წინააღმდეგ: მისი წესწყობილების ძალით შერყევა განუზრახავს, ისეთი პარტიის წევრათა ყოფილა, რომლის მიზანი არის ასეთი შერყევა, ვისაც ყაჩაღთა ბრბო შეუდგენია ან ამ ბრბოში რეულა, ან ყაჩაღებისთვის რაიმე დახმარება აღმოუჩენია 3) დედ - მამა ან სხვა რომელიმე უახლოესი ნათესავი მოუკლავს, 4) საზოგადოთ სასტიკი მკვლელობა ჩაუდენია ან განზრახვე ვინმე მძიმედ დაუჭრია და 5) ცხენი მოუპარავს.

ყველა იმას, ვისაც 1913 წლის 21 თებერვლამდე ისეთი დანაშაული ჩაუდენია, რომლისთვისაც **სიკვდილით დასჯა** არის კანონით დაწესებული, მანიფესტმა სიცოცხლე აჩუქა. სიკვდილი 20 წლიან კატორღად შეუცვალა.

უვადო (სამუდამო) კატორღაც შეცვლილია 20 წლის კატორღით.

ყველა იმათ, ვისაც დანაშაული და სასჯელი სრულიად ეპატიათ, უფლება აქვთ მოითხოვონ, რომ მათი საქმე მაინც გარჩეულ იქნეს, მაგრამ თუ უკანასკნელ შემთხვევაში სასამართლომ ისინი დამნაშავეებათ სცნო, სასჯელი გადახდებათ და მანიფესტს მათთვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარ ექნება (პატიების მხრივ).

ადმინისტრატიულის წესით დატუსაღებულნი და დაჯარიმებულნი, განთავისუფლებულ იქმნენ სასჯელისაგან.

აი მოკლედ ის შეღავათი, რომელიც მიანიჭა 21 თებერვლის მანიფესტმა ყველა იმათ, ვინც სხვა და სხვა მიზეზისა გამო **ხსენებულ დღემდე** დაარღვია სისხლის სამართლის რომელიმე კანონი. უფრო ვრცელი განხილვა მანიფესტისა ამ ჟამად ჩვენს მიზანს არ შეადგენს.

გული.

დუშეთი და დუშეთის მაზრა

* * *

ჭოპორტის ხიდი რკინის რელსებზე გააკეთეს იმ თავით. *) ადიდებულ არაგვს ეს რელსები წკირებად ეჩვენა და ისე მიღრიც-მოღრიცა უზარ-მაზარ მუხა-ვერხვების დაჯახებით, რომ რამდენიმე წლის შემდეგ ხიდი საშიში და უვარგისი შეიქმნა. შარშან ბ. გუბერნატორმა მიულოცა ბ. მომრიგებელ შუამავალ ცაგარელს, რომ მისი შუამდგომლობა ჭოპორტის ხიდის მკვიდრად აშენების შესახებ. შეწყნარებულ იქმნა და გადაიდო 33,000 მან. ამ გაზაფხულზე ხიდის აშენებასაც იწყებენ. ძველი ხიდის ნარჩენები კარგა ბლომა მასალას წარმოადგენს. იმისაგან სხვა ადგილას და ცოტა ჭკვიან მდინარე ხევზე კიდევაც გამოვა კაი მოზრდილი ხიდი. მომრიგებელ შუამავლის და მაზრის უფროსის წყალობით, ეს ძველი ხიდი დაეთმო ისევ დუშეთის მაზრას, სადმე საერობო ხიდის გასაკეთებლად. 22 იანვარს მომრიგებელი შუამავალი და მაზრის უფროსი ხალხით იყვნენ აბანოს ხევზე და საღამომდე აშლევინეს ეს ხიდი. სიკივე—ქარ-ბუქმა ჯერეთ შეაყენა ხიდის დაშლის საქმე. ამ ხიდის ნაშალიდგან ფიქრობენ ანანურის პირდაპირ გააკეთონ ხიდი. დანარჩენ მასალის შესახებ საკრამულის და წეროვნის საზოგადოება სთხოვს მიეცეთ რკინის რელსები ხევებზე პატარ-პატარა ხიდის გასაკეთებლად.

იქნებ მოსახერხებელი იყოს ეს მთელი მასალა უფრო სასარგებლოდ გამოვიყენოთ. ჩემის აზრით, ხიდის დიდი საჭიროებაა მცხეთაში და ნატახტართან. ამ ადგილებში დიდი მიმოსვლაა: აქაური ხიდი შეაერთებს მუხრანის და საგურამოს მიდამოს, შესა-

*) იხ. „კლდე“ № 9

ძლოდ გახდის წინამძღვარიათ სკოლის უფრო სასარგებლოდ გამოყენებას და თვით სკოლის სასიკეთოდ მოწყობას. აუარებელი ხალხი საგურამო-ერწო-თიანეთიდგან მიჰხვდება მუხრან-ქსნის ხეობას და გამოლმა არაგვის ხეობას. ამ სარგებლობისთვის შეიძლება ცოტა მეტი ხარჯი გავწიოთ. ცოტა მეტი გავისაჯხნეთ და საქმე შევაყენოთ კიდეც, ოღონდ ნუ დავღუპავთ მოუფიქრებლივ ამ ხიდის მასალას. კარგია პატარა ხევების გაკეთება, მაგრამ არაგვის დაუბრკოლებლივ ბევრგან გადასვლა-გადმოსვლა უფრო კარგია. კარგს ინებებს ბ—ნი მომრიგებელი შუამავალი, თუ ამ საქმესა სათავეში ჩაუდგება და განახორციელებს ზემო აღნიშნულ ადგილებში ხიდების აშენებას. ჩემის აზრით ამისათვის ორ-ჯერობით შეიძლება აბანოს ხევის ხიდის ძველი მასალა გამოვიყენოთ თანხად. ეს მასალა ან უნდა შეინახოს ზემო აღნიშნულ აზრის განსახორციელებლად, თუ მცოდნენი იტყვიან რომ გამოსადეგია, ან უნდა გაიყიდოს და აღებული თანხა გადაიდოს ნაჩვენებ მეტად საჭირო ხიდების გასაკეთებლად. სხვა ყველა სარგებლობის გარდა, ყველამ ვიცით რამდენს სულს გადავარჩენთ დახრჩობისაგან. არაგვს ამ მხრივ ბევრი მსხვერპლი ეწირება.

ახალი მაზრის უფროსი ბ. მამა შუამავალს იმედია, მხარს დაუჭერს ამ საქმეში და ცდა და მაზრის ინტერესების შეგნება კეთილად დააგვირგვინებს ამ საქმეს.

* *
*

15 იანვარს სოფელ მისაქციელში მუშაობდნენ ინჟენერი მამრაძე და დიასამიძე. ამ სოფლის დიდი ხნის ნატვრა—სარწყავ არხის გაყვანა, ვგონებ ხორციელდება. სოფელი დიდი ხანია შემდგარია ამ საქმეზე, მაგრამ ბევრი დაბრკოლება გადაეღობა წინ: მესაკუთრეები, აზნაურნი, პროკურორი—ყველა ამათი ჭირი გახდა. დღეს ყოველგვარი დაბრკოლება მოსპობილია, ყველაფერი კანონიერ გზით მიდის, მხოლოდ გეგმების გაკეთება-დამტკიცებაზეა საქმე მიმდგარი. დეპუტატთა საკრებულომ გადასდო ორმოცი თუმანი აქაურ მამულებზე ახალი გეგმების გაკეთებისთვის.

მისაქციელს უკვე დამტკიცებული აქვს მეორე, უფრო მოკლე სათავიანი გეგმა, მაგრამ იგი როგორც ტეხნიკურის მხრით, ისე ცოტა მამულის მორწყვის მხრით, შეუწყნარებელი შეიქმნება, თუ კი აქ სათავის ზემოთ მდებარე მამულების მესაკუთრენი ხოსიტაშვილები, ფავლენიშვილები და შაბურიშვილები მოისურვებენ მონაწილეობის მიღებას და რუს გამოსაყვანად საჭირო ხარჯებს გამოიღებენ. დეპუტატთა საკრებულო ორმოცი თუმნით დაეხმარა და ახლა თვით მესაკუთრეების საქმეა აწარმოვონ მუშაობა და ხარჯები გაიღონ. ჯერ ყველა გვპირდება, ვნახოთ რა იქნება ამ გაზაფხულზე. მისაქციელის, ლამის, აღდგომლიანთ კარის მცხოვრებნი ძალიან მონდომებულები არიან და ხარჯიც ბევრი გასწიეს ამ არხის დაწყებამდეც.

მგზავრი ლ.

კლუბის არჩევნები

აქა ამბავი თუ თავად კუკუს მაგიერ როგორ წავიდა სპარსეთში ბატონი მუმუ

კუ-კუ, ლუ-ლუ, ბუ-ბუ და მუ-მუ

არჩევნების შედეგი სამწუხარო გამოდგა

თავადმა კუ-კუმ ყველაზედ ნაკლები თეთრი ხმა მიიღო.

— მოდი და ამის შემდეგ სპარსეთში ნუ წახვალ! სთქვა გესლით თავადმა კუ-კუმ და უბრძანა ოფიციანტს ჩემოდნნის მოტანა.

თავადი კუ-კუ ის იყო შეუდგა ბარგის ჩემოდანში ჩალაგებას რომ თავზედ ლუ-ლუ წაადგა.

— კუ-კუ, რას შვრები?

— მივდივარ!

— სად?

— სპარსეთში!

ამ სიტყვებზედ თავადმა კუ-კუმ მორიგი ცრემლი მოიწმინდა.

— კუ-კუ, ნუ იწმენდ მაგ ცრემლს! უთხრა თავადმა ლუ-ლუმ, ეგ ცრემლი მთელ შენ სამშობლოს ეკუთვნის.

— ახ! განა ეგრეა! თუ ეგრეა აი მეორეც.

და თავადმა კუ-კუმ მეორე მორიგი ცრემლი ჩამოაგდო.

— მშვიდობით ჩემო ლიუსტრებო, მშვიდობით ჩემო სარკენო, ჩემო ლოტოს დაფავ და სარდიონის მკვეთრო ხმავ!—სთქვა მან.

— იცი კუ-კუ! შენ მაგონებ ჩვენ დიდებულ გარდახვეწილს დიდ-მოურავ გიორგი სააკაძეს. უთხრა თავადმა ლუ-ლუმ,—რა უბედურია ჩემი სამშობლო!

— ნუ თუ ჩემზედ უბედურია ჩემო ლუ-ლუ. ის აქ რჩება და მე კი მივდივარ.

— არა ეგ შეუძლებელია, კუ-კუ! სპარსეთში შენს მაგივრად სხვა უნდა გავგზავნოთ და ამის მოხერხებაც შესაძლებელია.

— საქართველო ღელავს, ლუ-ლუ, არ იქმნება. ისღა დამრჩენია ჩემს ნაამაგდარ სარკეში ერთხელ კიდევ ჩავიხედო და გზასაც გაუდგე. მაგრამ ლუ-ლუ, ახ! როგორ მეძნელება! ნება მომეც ერთხელ კიდევ ვეამბორო სამშობლო კლუბის ლობიოს!

თავადი კუ-კუ ეამბორა ლობიოს, რომელიც გუშინ ახალგაზრდა ასულმა კვატერნოს მოლოდინში ბრაზით იატაკზედ დააგდო.

ეს სცენა იმდენად ტრაღიკული იყო, რომ მთელი კრება საცოდაობით აივსო, იგი შეინძრა და უკვე მზად იყო...

— კარში გამოლაგებულიყო.

მაგრამ ამ დროს თავადი გუ-გუ სკამზედ შესდგა და ის იყო თავად კუ-კუსთვის გამოსამშვიდობებელი სიტყვა უნდა ეთქვა, რომ თავადმა ლუ-ლუმ მკლავში ხელი სტაცა და შეაჩერა.

— ბატონებო, დაიწყო თავადმა ლუ-ლუმ, სამშობლოს კეთილ-დღეობისათვის და კეთილ-დღეობისთვის ჩვენის კლუბისა, მე უთმობ ჩემს ადგილს თავად კუ-კუს და სამშობლოს ზვარაკად მივალ სპარსეთში.

მაგრამ ამ დროს ყველაზედ წინ წამოდგა „ყვითელი კონსტანტინე“, კაცი ფრიად ჭკვიანი, კრიალოსნიანი და სიტყვა მოითხოვა.

და როდესაც გაათავა მან სიტყვა, საქმე ისე დატრიალდა, რომ თავადი კუ-კუ თავის ადგილას დარჩა, რასაც ის მოჰყვა შედეგად, რომ თავადმა გუ-გუმ ვეღარა სთქვა გამოსამშვიდობებელი სიტყვა და თავადი ლუ-ლუს მაგიერ სპარსეთში გაგზავნეს ბატონი მუ-მუ.

ფარსმან-ფარუხი.

ნ ა რ ე ვ ი

ქალთა საკითხი 25 თებერვალს პეტერბურგში დაიწყო მუშაობა განსაკუთრებულმა კომისიამ, რომელსაც მანიფესტით დაკისრებული აქვს გამოიკვლიოს თუ რა ხასიათის „ორდენი“ უნდა ებოძოს იმ ქალებს, რომელნიც ღირსნი არიან ჯილდოსი, როგორც გამოჩენილი მოღვაწეები სახელმწიფო ან საზოგადო სამსახურში. ბევრი მითქმა-მოთქმა გამოიწვია იმან, თუ რა „ფორმისა“ უნდა იყოს ქალების ორდენი.

უწმინდეს სინოდის სფეროებში წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ ხსენებულ „ორდენს“ ჯვრის ფორმა მიეცეს... ამას ასაბუთებენ იმ მოსაზრებით, რომ ქალი „ეშმაკის კიდობანია“ და ახალს ორდენს ბოლოს მაგიერ ადვილად მიიკრავს არა საკადრის ადგილებზედ. ამასთან ერთად იბადება ახალი საკითხი, შეუძლიანთ თუ არა „დეკოლტიან“ ქალებს ამ ორდენის ტარებაო.

„ორდენის“ შედგენა და მომზადება, როგორც ამბობენ, მინდობილი აქვთ ცნობილ მხატვრებს, რომელნიც მსახურობენ „სახელმწიფო ქაღალდების დამმზადებელ ექსპედიციაში“.

„**რ. ხ.**“

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ს ტ ა

განრიცხულს:(?) „...ცაში ღრუბლები
აღმოსავლით სკენ ეშურებიან,
ხან მოსჩანს მთვარე; ზამთრის ჩიტები
ჩაში შიშშილით ჩუმად ჰჭყივიან,
თითქო ჰგონიათ უბედურებსა,
რომ მაქვს(?) ფეტვი მათთვის
მთვარესა.
პატრა ბუჩქის ქვეშ, მოთხრილ
ძირშია
ჩაჰძინებია საწყალ კურდღელსა.
ტკურდღლის ქვეშა, შიგ მიწაშია
მელა ჰთანხმდება ბინასა ბნელსა“.

ღრუბლები რაც უნდა ჩქარა ეშურებოდნენ, გზა და გზა აღმოსავლეთის სახელს ასოები არ უნდა დაუპნიონ. აგრეთვე ბუჩქიც, რაც უნდა პატარა იყვეს, ყველა ასოთი უნდა აღინიშნოს. ზოგიერთ ადამიანზე რუსები ამბობენ: „У него птичий умъ“, როცა მთვარისგან ფეტვს გამოელის. თვითონ ჩიტებს კი ტყუილად სწამებთ ასეთს მოლოდინს.

კურდღლის ქვეშ როცა მელაა, მაშინ კისერს ზევით ბუშტია ხოლმე. და თუ ამას ჰთანხმდება მელა, ალბად ხათრს არ გიტეხავს, ჩემო „განრიცხულო“. საზოგადოთ კი ცხოვრების კიბე: მთვარე
ღრუბელი
ჩიტები
კურდღელი
მელა
განრიცხებული, ვეჭვ რომ კლდეზედ აგაცოცებდეს.

ზემოუბნელს: „...კლდეზედა დავწექ, ჩავარდნილს—უფსკრულში გამთენებია“—ასეთი ლექსი ეწინააღმდეგება ბუნების კანონს: უფსკრულში ჩავარდნილს, როგორღა გაგითენდებოდა კიდევ. თუ სიზმარია, ნეტა აგიხდეს.

მე—მს: როდია კარგი როცა ავტორი ჰბაძავს იმ ცხოველს რომელზედაც სწერს, თქვენ კი ასე ათავებთ ლექსს:
„ბატკანი ტირის(?) მე...ე მე“
და ხელს აწერთ: **მე—ე.**

რედაქტორ-გამომცემელი
რ. გაბაშვილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის მოწერა 1913 წლისათვის

ყოველ დღიურ გაზეთზე

წელიწადი მეორე 1913

იმერეთი

წელიწადი მეორე 1913

გაზეთის ფასი: ერთი წლით 7 მან., ნახევარი წლით 4 მან., ერთი თვით 4 აბაზი და ცალკე ნომრის 1 შაური.

წლიურ ხელის მომწერლებს შეუძლიათ გაზეთის ფასი ამნაირად გადაიხადონ: ხელის მოწერის დროს სამი მანეთი, პირველ მაისს ორი მანეთი და პირველ ენკენისთვესაც ორი მანეთი.

მოსწავლეებს, სათვისტომოებს და სოფლის უფასო წიგნთსაცავ სამკითხველოებს გაზეთი წლიურად ეთმობათ ოთხ მანეთად, ხოლო ნოქრებსა და სოფლის მასწავლებლებს — ხუთ მანეთად.

სამგლოვიარო განცხადების თითო დაბეჭდვა ყველასათვის—სამ მანეთად.

გაზეთის დასაკვეთი ფასი და აგრეთვე სხვა ანგარიშებიც უსათუოდ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს:
Кутаисъ, редакція и контора газеты „ИМЕРЕТИ". **Антону Михайловичу Хеладзе.**
სხვანაირად გამოგზავნილ ფულს და ანგარიშებს რედაქცია თავის დროზე ვერ მიიღებს.

Открыта подписка на 1913 годъ

на политическую, общественную и литературную ежедневную газету

ЗАКАВКАЗЬЕ

Безпартійно-прогрессивный демократическій органъ, обслуживающій интересы Закавказскаго края, безъ различія націоналистей.

(Восьмой годъ изданія)

ПОДПИСНАЯ ЦѢНА

Съ доставкой въ городѣ Тифлисѣ:

12 м. 5 руб., 11 м. 4 р. 70 к., 10 м. 4 р. 40 к., 9 м. 4 р. 10 к., 8 м. 3 р. 80 к., 7 м. 3 р. 40., 6 м. 3 р. 5 м. 2 р. 60 к., 4 м. 2 р. 20 к., 3 м. 1 р. 75 к., 2 м. 1 р. 35 к., 1 м. 75 к.

Съ пересылкой для иногороднихъ

7 р., 6 р. 50 к., 6 р., 5 р. 50 к. 5 р., 4 р. 50 к., 4 р., 3 р. 50 к., 2 р. 80 к., 2 р. 10 к. 1 р. 40 к., 75 к.

Заграницу вдвое больше городской

Для годовыхъ подписчиковъ допускается РАЗСРОЧКА по 1 р. въ мѣсяцъ.

Подписка принимается только съ перваго числа каждаго мѣсяца и не далѣе, какъ до конца года, въ конторѣ редакціи на Дворцовой улицѣ, въ домѣ Грузинскаго Дворянства (входъ со двора грузинскаго театра.

Телефонъ № 917.

ПЛАТА ЗА ОБЪЯВЛЕНІЯ:

Для Закавказья на мѣсто, занимаемой строкой петита: впереди текста 15 коп., позади текста 10 коп., посреди текста 50 коп. Стороннее сообщеніе 15 коп. зрѣлища и увеселенія 20 коп.

За многократныя объявленія скидка.

Объявленія о спросѣ и предложеніи труда, объ отдачѣ квартиръ, наймѣ прислуги и т. д. на 4 стр.—25 к. каждое. Траурное объявленіе—4 руб.

Объявленіе внѣ предѣловъ Кавказа принимаются исключительно въ центральной конторѣ торговаго дома Л. Э. Метцль и К. въ Москвѣ, Мясницкая д. Сытова, въ отдѣленіяхъ въ гор. С.-Петербургѣ—большая Морская. № 11, въ Варшавѣ—Маршалковская. № 130, по 24 к. передъ текстомъ и 12 коп. послѣ текста.

მოითხოვეთ ყველგან

კოოპერატიული ღვინო

საზოგადოება „კახეთი“-სა



ეზო საზოგადოება „კახეთისა“: ღვინის მოტანა და გატანა

საზოგადოებას 15 წლის განმავლობაში გაუყიდია 1,000,000 ვედრო ღვინო 3,000,000 მან.

საზოგადოებას აქვს განყოფილებანი: ბაქოში, ასხაბადში, ტაშკენთში. ბათომში, მოსკოვში, არმავირში, ალექსანდროპოლში, ეკატერინოდარში.

სარდაფი „კახეთისა“: ღვინის გადაღებ-გადმოღება

საზოგადოების ადრესი: თბილისი. გოგოლის ქუჩა, საზოგადოება „კახეთი“

მევენახეთა საზოგადოება „კახეთი“ დაარსებულია 1894 წელს. საზოგადოებაში არის 164 წევრი. „კახეთის“ საზოგადოების წევრებს აქვთ 866½ დესეტინა ვენახი, საიდამაც უზიდავენ საზოგადოებას **ნამდვილ კახურ ღვინოს!**

ძალა ერთობაშია!

კახელებო! ჩაეწერეთ საზოგადოების წევრებად და ამით დაიხსენით თქვენი სარჩო-საბადებელი სირაჯ-ჩარჩების ცარცვისაგან და მასთან ერთად შეუწყეთ ხელი ღვინით და საქმეში მონაწილეობით. ყოველ კახელისთვის ფრიად სასარგებლო „საზოგადოების“ გაფართოვება—გაძლიერება, მისი წევრების გაძლიერების და გამდიდრების მომასწავებელია.

უკანასკნელ დროს საზოგადოების საქმეები მოწესრიგებული და მკვიდრად დაუენებულია.

მოითხოვეთ საზოგადოების წესდება.